# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 13 ივნისი 2007 №133 (3056) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თბილისის ამერის კიდევ ერთი**

ჩიხრაძე ბორჯომში კობაურს ჩაიყვანს 2



**ცოტას და კლოზეს მოვა**

მიუნხენის ბაიერნი ქაცვებს ილესავს 5



**პატარა დანიამ უეფას მოუგო** 7

# იაშვილი ბუნდესლიგაში კარლსრუეს გადაჰყვა

## გუშინ სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა



გუშინ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა გერმანულ „კარლსრუერთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამით თავის ფრაიბურგულ ისტორიას წერტილი დაუსვა. „ფრაიბურგთან“ კონტრაქტდამთავრებულ ჩვენიანს რამდენიმე ბუნდესწინადადება ჰქონდა და მათ შორის გერმანული ფეხბურთის ორი ლიდერი გუნდიც იყო, მაგრამ იაშვილმა ყველას „კარლსრუე“ ამჯობინა, რომელიც ბუნდესლიგაში სწორედ წლეულს გადავიდა და მდევრები დიდი სხვაობით მოიტოვა. რა და როგორ იყო, ალექსანდრე იაშვილთან საუბარი წუხელ ველარ მოვახერხეთ, ერთი კია, რაც მისი ახლობლებისგან შევიტყვეთ, „კარლსრუეს“ ხელმძღვანელობას მაგრად უყოჩაღია და იაშვილი სხვა, უფრო ცნობილი გუნდებისთვის ცხვირწინ აუწაპნია. იაშვილისთვის, ვინც ბოლო სანაკრებო მატჩებისას საუკეთესო იყო, „კარლსრუე“ გერმანიაში მესამე გუნდი იქნება. ჯერ იყო „ლიუბეკი“, შემდეგ შვიდი წელიწადი „ფრაიბურგი“ და აი, ახლა „კარლსრუე“, სადაც ბუნდესნაკრების ბევრი ვარსკვლავი გაზრდილა. სხვათა შორის კი, ისიც დავძინოთ, რომ ალექსანდრე იაშვილი დღედღეზე მეორე შვილის მოლოდინშია.

კობა ინასარიძე

# ჩეხს საქართველოში კამერუნელი დახვდება

## დატოვებს უჰრინი ვოუკოუეს დინამოში?





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვოუკოუე ჩამოსულა

## დინამო მზადებას კამერუნელით იწყებს



**ახალი** სეზონისთვის მზადებას თბილისის „დინამო“ დღეს დილმის საწვრთნელ ბაზაზე იწყებს. ამ დილითვე ჩეხეთიდან ჩამოვა მწვრთნელი დუშან უჰრინიც.

გუშინ კი „დინამოში“ გასასინჯად საამსეზონოდ პირველი შესაძლო ახალწვეული ჩამოვიდა — კამერუნული „უნიონ სპორტივ დე დუალას“ 23 წლის თავდამსხმელი რაიმონდ ვოუკოუე. ის ბაზაზე დაბინავდა და დღეიდან სხვა დინამოელებთან ერთად შეუდგება ვარჯიშს.

ვოუკოუე ჯანმაგარი და ასაკის კვალობაზე საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელია, თავის დროზე რეგულარულად თამაშობდა კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში და კარგი შედეგიანობითაც გამოირჩეოდა. ახლა კი ის დუშან უჰრინის თვალწინ იქნება და მასზეა დამოკიდებული, დინამოელებს თავს თუ მოაწონებს.

მზადების პირველ დღეს „დინამოში“ ახალი ფეხბურთელი მხოლოდ ვოუკოუე იქნება, თუმცა ნელ-ნელა გუნდს კიდევ რამდენიმე ქართველი და უცხოელიც შეუერთდება. როგორც კლუბში ამბობენ, უეფას თასზე და მომავალ ჩემპიონატში სათამაშოდ „დინამო“ სერიოზულად გაძლიერდება. ფეხბურთელებთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და ზოგი თბილისელებს აქვე შეუერთდება, ზოგიც — გერმანულ შეკრებაზე. გერმანიამდე კი „დინამო“ ბაკურიანულ შეკრებას მოილევს, მწვრთნელს შეგირდები ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად მთაში 16 ივნისს მიჰყავს. ამის შემდეგ, გუნდი ერთ კვირას ისევ თბილისში ივარჯიშებს და მზადების მეორე, უცხოურ ეტაპსაც შეუდგება.

ჯერჯერობით „დინამოდან“ სხვა ახალი ამბები არ ისმის. მწვრთნელი ჩამოვა და გუნდიდან წამსვლელთა ვინაობაც მაშინ გაირკვევა. ისე კი, მოსალოდნელი არ არის, „დინამომ“ რომ ბევრი ფეხბურთელი დაკარგოს...

**კობა ინასარიძე**

# თბილისის ამერის კიდევ ერთი

## ჩიხრაძე ბორჯომში კობაურს ჩაიყვანს

**არჩილ** ალავიძე, კობა შალამბერიძე, რევაზ გოცირიძე, ბაჩანა ცხადაძე — თბილისის „ამერის“ ამ ახალ ოთხეულს ერთიც შეემატა. ბოლნისის „სიონის“ მცველი მიხეილ კობაური დღეს შეუერთდება გუნდს, რომელიც უკვე ბორჯომშია შეკრებაზე.

საქართველოს თასის (ორგზის) და სუპერთასის მფლობელები საახალსეზონოდ სერიოზულად ძლიერდებიან და, ბუნებრივია, მომავალ სეზონში სერიოზულ მიზნებსაც დაისახავენ, თუმცა „ყვითლებს“ იქამდე უეფას თასის მატჩებიც ელით — ისევე, როგორც სხვა ქართული გუნდები, „ამერიც“ 29 ივნისის კენჭისყრიდან გაიგებს, ვის შეხვდება უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე.

და ერთიც: კობაურის დარად, გუნდს დღეს შეუერთდება მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძეც, ვინც ჰოლანდიიდან წუხელ ჩამოვიდა. გეცოდინებათ, ჩიხრაძე სამწვრთნელო შუა ევროპაში სამწვრთნელო სემინარებზე დასასწრებად გაჰლდათ...

**კახა შალამბერიძე**



მიხეილ კობაური გიორგი ნიკოლაიშვილის თანაგუნდელი ხდება

# დემეტრაძის საქმე გაგრძელდებაო

## უკრაინელებმა ლიმიტი დააწესეს

**რამდენიმე** თვის წინ გიორგი დემეტრაძემ უკრაინულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, იქაურ ჩემპიონატში ლეგიონერებზე ლიმიტის გაუქმების მოთხოვნით. დემე თვითონაც ესწრებოდა სასამართლოს, თუმც ეს საქმე შეჩერდა.

დონეცკის „მეტალურგის“ ვიცე-პრეზიდენტი დმიტრი სელიუკი ამბობს, „დემეტრაძის საქმე“ მალე ისევ გაგრძელდება, ჩვენ უზენაეს სასამართლოში ვიჩივლებთო. უბრალოდ, ახლა უკრაინაში პოლიტიკური საკითხები დგას პირველ პლანზე და დემეტრაძის აპელაციისთვის ჯერ ვერ მოიცალესო.

სელიუკი ამატებს, ლეგიონერების ლიმიტი სისულელეა — რატომ უნდა იყოს სათამაშო დროში შეზღუდული უცხოელი ფეხბურთელი, თუკი ადგილობრივს სჯობსო.

„მე ლეგიონერებს კი არ ვლობირებ, უბრალოდ, ჩვენი ჩემპიონატის დონის ამაღლება მსურს. მაგალითად, იაია ტურეს დონეცკის „მეტალურგში“ მესამეხარისხოვან ლეგიონერად რომ თვლიდით, ახლა „ბარსელონასთან“ აფორმებს კონტრაქტს“ — ასე შეუტია სელიუკმა ლიმიტის მომხრეებს.



გუშინ კი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა მომავალი სეზონისთვის ლიმიტი მაინც დააწესა — თითოეული გუნდი ერთდროულად შვიდ უცხოელზე მეტს ვერ ათამაშებს. მეტიც, 2008-2009 წლების სეზონში ლიმიტი შეიძლება ექვსამდე შემცირდეს.

სხვათა შორის, აღმასკომის დაწყებამდე უკრაინის ნაკრების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა ულტიმატუმი წამოაყენა: თუ ლიმიტი არ დაწესდა, ნაკრებიდან წავალო.

**ილია ნანობაშვილი**



# თქვენს გვერდით მიგულეთ

## ცხადაძე ისევ გაურკვეველია

**გუშინ** ბოლნისის „სიონს“ რაიონის ახალი გამგებელი და კლუბის პრეზიდენტი გია დაუშვილი შეხვდა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გუნდს გვერდით დაუდგება.

როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, ჩემპიონატისთვის მომზადება ქალაქის გამგებელს უკვე დაევალა, რამდენიმე დღეში კი ის თანხაც დაზუსტდება, რომელიც ამ სეზონში „სიონს“ უნდა მოხმარდეს.

კვლავ ღიად რჩება მწვრთნელის საკითხი... ავადმყოფობის გამო კახა ცხადაძე შეხვედრას არ დასწრებია და ბოლნისში მისი მომავალიც ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია.

**ნუკრი ლოლაძე**

# მსაჯთა ორი ხუთეული

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილებამ გასულ სეზონში მსაჯთა მუშაობა შეაჯამა.

მე-18 ეროვნული ჩემპიონატისა და საქართველოს თასის მე-17 გათამაშების მიხედვით გამოვლინდა საუკეთესო მსაჯთა და ასისტენტთა ხუთეულები.

**საუკეთესო მსაჯები:** გიორგი ვადაჭკორია, ლევან კვარაცხელია, ლევან სილაგავა, ლევან ფანიაშვილი, დავით ხარიტონაშვილი.

**საუკეთესო ასისტენტები:** მამუკა ელიკაშვილი, ზაზა მენთეშაშვილი, ლევან მიქელაძე, გურამ ჩიგოგიძე, ზურაბ ჯვარიძე.

ცნობისთვის: გვარები დასახელებულია ანბანის მიხედვით.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შვედეთი

**ალსვენსკა. IX ტური**

იურგორდენი 2:1 გიოტებორგი

კალმარი 2:0 ჰელსინგბორგი

**სუპერეტა. IX ტური**

იორგრიტე 3:0 ფალკენბერგი

### ამხანაგური მატჩები

ქუვეითი 1:1 ეგვიპტე

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007

**A ჯგუფი. III ტური**

კოსტა რიკა 1:0 გვადალუპე

ჰაიტი 0:2 კანადა



# ძირს ცხრილის ძირი

## კოსტავას პირდაპირ მოსთხოვეს

თბილისის „მერანის“ ახალმა მწვრთნელმა თამაზ კოსტავამ გუშინ კლუბის ხელმძღვანელობასთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, დღეს კი გუნდს შეხვდება და შეკრების პირველ ეტაპსაც დაიწყებს. რა მიზნები და ამოცანები ექნება ახალ სეზონში „მერანს“, ამის თაობაზე ახალდანიშნულ მწვრთნელს ვესაუბრეთ...

— ხელმძღვანელობის სურვილია, გაკეთდეს ისეთი გუნდი, რომელსაც მაღალ ადგილებზე ექნება პრეტენზია. გასულ სეზონში „მერანი“ რთულ ვითარებაში იყო და მხოლოდ ბოლო ტურებში აიცილა თავიდან გადათამაშება. მომავალში ასეთი პრობლემა აღარ უნდა შეიქმნას — ეს კლუბის ხელმძღვანელობის პირდაპირი მოთხოვნაა.

— ალბათ, რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელითაც აპირებთ გუნდის შევსებას...

— 13 ივნისს შეიკრიბებით და წამსვლელ-მომსვლელის ვინაობაც მაშინ გაირკვევა. ჯერჯერობით კონტინგენტს არ ვიცნობ და ვერაფერს ვერ გეტყვით.

— შეკრებას სად გაივლით?

— საქართველოში. მოსამზადებელი პერიოდი ორ ეტაპად დაიყოფა. პირველს თბილისში გავივლით, მეორეს, სავარაუდოდ, ურეკში.

— ახალ სეზონში ახალ სტადიონზე ითამაშებთ?

— აუცილებლად. სტადიონი უკვე ყველანაირად მზადაა უმაღლესი ლიგის მატჩების ჩასატარებლად. სარემონტო სამუშაოები დასრულებულია, მინდორიც ჩინებულ მდგომარეობაშია. ეს გუნდსაც წაადგება. ისე გამოვიდა, შარშან თითქმის ყველა თამაში სტუმრად ჩაატარეს. შინაური კედლები მაინც დამატებითი სტიმულია...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზაზა დარასელს ირაოზე გაიხსენებენ



**A ჯგუფი**

მე-2 არხი
რუსთავი 2
სარბიელი
საზოგადოებრივი მაუწყებელი

**B ჯგუფი**

აფხაზეთის ტელევიზია
მზე
24 საათი
ბოცვაძელები

**ხვალიდან** ვაკის „ირაოს“ მოედანზე დაიწყება ტრადიციული ტურნირი მინი-ფეხბურთში ცნობილი პუბლიცისტის და ჟურნალისტის, ზაზა დარასელის სახელობის თასზე.

კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ტურნირის ორგანიზატორმა გოჩა ხუნდაძემ მონაწილე გუნდებსა და სპონსორებზე ისაუბრა...

„ზაზა დარასელის სახელობის თასი მეშვიდედ გათამაშდება. ტურნირი ყოველთვის კორექტულობით გამოირჩეოდა, რაზეც მონაწილე გუნდებს მადლობა მინდა გადავუხადო. წლეულს სერიოზული დანაკლისი გვაქვს — მონაწილეებს ტელეკომპანია „იმედი“ გამოაკლდათ, სამაგიეროდ, შევსება მივიღეთ გაზეთ „24 საათის“ სახით. ტრადიციულად, ტურნირის საპრიზო ფონდი სოლიდური იქნება, ასევე დაჯილდოვდებიან საუკეთესო ფეხბურთელები, მეკარე, მცველი, თავდამსხმელი და კორექტული გუნდი. სპონსორებმა, „TV-ლოტომ“, „ეკოფუდმა“ და „ტოიოტამ“ გარდა იმ პრიზებისა და ფულადი თანხისა, რაზეც უკვე ვთქვით, რამდენიმე სიურპრიზიც მოამზადა. ტურნირი 20 ივნისს, ზაზა დარასელის დაბადების დღეს დამთავრდება“.

**ზურაბ მიგრიაული**

# არ დაიჯეროთ, რომ ლიტვა ჩვენზე ძლიერია

## ნუკრი მანჩხავა: კაუნასი ლიტვური დინამოა

რაც კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გახდა, ლიტვაში მოთამაშე ლეგიონერებისკენ არც გაუხედავს, არადა, იქაურ ჩემპიონ „კაუნასში“ ორი ჩვენიანი თამაშობს: ნუკრი მანჩხავა და გივი კვარაცხელია გუნდის ძირითადის თითქმის უცვლელი წევრები არიან. მესამე, აკაკი ხუბუტია კი „კაუნასიდან“ „შილუტეშია“ განათხოვრებული, თუმც ხუბუტია ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს-ხოლმე. 25 წლის მანჩხავას კაუნასურ ამბებზე და საქართველოს ნაკრებთან მოგების შემდეგ ლიტველების გამოხმაურებაზე ველაპარაკეთ...



გივი კვარაცხელია და ნუკრი მანჩხავა

— „კაუნასი“ შარშან ძალიან იოლად გახდა ჩემპიონი, წლეულს კი, ალბათ, გაგიჭირდებათ...

— შარშან ზედიზედ ოცი თამაში მოვიგეთ, ძალიან მაგარი სტარტი ავიღეთ და დამწევი აღარავინ იყო. ისე, ახლაც ლიდერები ვართ, მეორე წრე ხუთ ტურში მთავრდება და მეორეადგილოსან „ვილნიუსს“ ხუთი ქულით ვუსწრებთ. წესით, წლეულსაც ჩემპიონები უნდა გავხდეთ, მაგრამ მეტი ბრძოლა მოგვიწევს.

— მთლიანობაში, ლიტვის ჩემპიონატის დონე როგორია?

— საკმაოდ ნორმალური, დაძაბული ჩემპიონატია. მაგალითად, შარშან ოთხი ტური იყო დარჩენილი და შვიდ გუნდს ჰქონდა უეფას თასზე გასვლის შანსი.

— და „კაუნასი“ შემადგენლობით საგრძნობლად ძლიერია სხვა გუნდებზე?

— „კაუნასი“ ლიტვაში ისეა, როგორც „დინამო“ იყო საქართველოში. ბევრჯერ გახდა ჩემპიონი და, ასე ვთქვათ, ჩემპიონი გუნდის სახელი აქვს. შემადგენლობითაც სხვებს ვჯობივართ. ათამდე ლეგიონერი გვყავს, მათ შორის, ერთი ბრაზილიელი თავდამსხმელი.

— შენ სულ მარცხენა მცველად თამაშობ?

— უმეტესად კი. თუმცა მწვრთნელი ხშირად ცვლის ტაქტიკურ სქემას, ხან მარცხენა ნახევარმცველი ვარ, ხანაც მთელი ფლანგი მაბარია.

— გივი კვარაცხელიაც რეგულარულად თამაშობს...

— გივის წლეულსაც კარგი სეზონი აქვს.

— სხვა ქვეყნის გუნდებიდან არ გაქვს მიწვევა?

— ჯერ ამაზე არ ვფიქრობ. მთავარია, სეზონი კარგად დავასრულო, ჯანმრთელად ვიყო. კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდება და „კაუნასი“ გახანგრძლივებას მთავაზობს. ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

— საქართველოს ნაკრებთან მოგებას რა გამოხმაურება მოჰყვა ლიტვაში?

— ლიტველები მატჩამდე მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ იყვნენ განწყობილნი და მოგება ძალიან გაუხარდათ. აქ იციან, რომ საფრანგეთს, იტალიას და უკრაინას ვერ მოერევიან, საქართველოს დონის გუნდებთან კი თავს იკლავენ და მაქსიმუმს თამაშობენ.

— მაინც არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ლიტვის ნაკრები საქართველოზე ძლიერია...

— რა თქმა უნდა, საქართველო უფრო ძლიერია. ჯერ შემადგენლობას რომ გადახედავ, ყველაფერი ცხადი გახდება — სად თამაშობენ ლიტველები და სად ჩვენები... ფეხბურთია, ყველაფერი ხდება და ჩვენ ნაკრებსაც ჩაუვარდა ეს თამაში.

— შენ ერთხელაც ვერ ითამაშე ნაკრებში და ალბათ ძალიან გწყდება გული...

— ცხადია. ნაკრებში თამაში ვის არ უნდა, მაგრამ ბედს ვეგუები...

**ილია ნანოზაშვილი**

# მახვილაძე გაფრინდა და გამოფრინდა

**ლუგანსკის** „ზარიადან“ მობრუნებული მიხეილ მახვილაძე უკვე თავის ყოფილ გუნდს დაუბრუნდა — საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპთან“ ერთად ვარჯიშობს.

როგორც რუსთაული კლუბის პრესსამსახურის უფროსმა მიხეილ ჯორბენაძემ გვითხრა, გუნდის კაპიტანს „ოლიმპთან“ კონტრაქტი კი დაუმთავრდა, თუმც კლუბის ხელმძღვანელები მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ „ზარიაში“ წასვლამდე მახვილაძეს საქართველოს თასის ფინალისტი „ზესტაფონიც“ ეპატიჟებოდა. იმერლები ახლა ბაკურიანში არიან, სადაც ინტერტოტოს თასისთვის ემზადებიან, თუმცა ფაქტია: მახვილაძე მათთან არ ჩასულა...

**ოთარ მხეიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# არავითარი კატასტროფა

## ლადო ბურდული: ამ საფრანგეთთან ოთხი წლის წინ 0:6-ს წავაგებდით



**ლადო ბურდული სულ მალე გუნდს გამოიცვლის — საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს რამდენიმე ვარიანტი აქვს კარიერის გასაგრძელებლად, მას შორის კი ყველაზე რეალური ლუგანსკის „ზარიაში“ გადასვლაა. ლადომ დაგვიდასტურა, „ზარია“ ჩემი ერთ-ერთი მსურველი კლუბია, თუმც ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს, სად წავალ, ფაქტია, „კრივბასში“ აღარ გავჩერდებიო. ლადო ბურდულმა 90 წუთი ითამაშა ოსერულ საფრანგეთ — საქართველოს ევროშესარჩევ მატჩში და ჩვენი თემაც სწორედ ნაკრები იყო...**

— წაგება არასოდესაა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ შეიძლებოდა, 0:1 კი არა, 0:5 წაგვეგო. რეალისტები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ საფრანგეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მათი ნახევარდაცვა და თავდასხმა კი უსწრაფესია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, კატასტროფულად არ გვითამაშია, მეორე ტაიმში იყო მომენტები, როცა საქართველოს ნაკრებიც ქმნიდა რაღაცას და ასე ვთქვათ, მოედანზე არ იდგა.

**— ხომ არ თვლი, რომ ნაკრებმა ზედმეტად დაცვაში ჩამჯდარი ფეხბურთი ითამაშა?**

— თამაში რომ გაგვეხსნა, არ ვიცი, რა მოხდებოდა. აგერ, ჩვენამდე ოთხი დღით ადრე უკრაინა ეთამაშა საფრანგეთს, ორ მომენტში გახსნა თამაში, ზონები გაათავისუფლა და ორი გოლიც მიიღო. რამდენჯერაც კი უკრაინელები ცოტა ლაღად წავიდნენ წინ, იმდენი ასპროცენტიანი მომენტი შექმნეს ფრანგებმა. რატომ გაჩნდა ასეთი აზრი, რომ უკრაინა საქართველოზე კარგად ეთამაშა ფრანგებს?! მგონი, პირიქით იყო, ამას ანგარიშიც მოწმობს.

**— აბა, თუ შეტევაზე არ წახვიდოდით, რა უნდა ყოფილიყო გამოსავალი?**

— საქმეც ესაა, ასეთ ძლიერ მეტოქესთან მაქსიმალურად უნდა გამოიყენო თუნდაც სამი-ოთხი ნახევარმომენტი, თორემ საფრანგეთი მეტი ფუფუნების საშუალებას არ მოგცემს. იქ იყო დავით მუჯირის დარტყმა, ოთარ მარცვალაძეს მიეცა კარგი შანსი, მეც წამით დამასწრო ტურამმა... შორიდან როგორ ჩანდა, არ ვიცი, მაგრამ იყო მომენტები, როცა საფრანგეთი ძალიან ფრთხილობდა, რამდენჯერმე მათმა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა მაკელელესა და ნასრის დაუძახა, უკნიდან ითამაშეთ, ძალიან წინ ნუ მიდიხართო.

**— ფრანგებს არ ეტყობოდათ, რომ მოშვებულები თამაშობდნენ?**

— თავიდან თითქოს ეტყობოდათ, მაგრამ მეორე ტაიმში ძალიან ფრთხილობდნენ. ერთიც, საქართველო ფარერებს 1:0-ს რომ უგებდა, ჩვენი გულშემატკივრები უსტვენდნენ, ფრანგი ფანები კი ოსერში ტალღას აგორებდნენ — მერე რა, რომ მხოლოდ 1:0-ს უგებდნენ საქართველოს. მოდით, მაშინ ასე ვთქვათ: ფარერებთან თუ დიდი ანგარიშით მოგებას ვითხოვთ, ფრანგებს რატომ არ უნდა სდომებოდათ ჩვენთან ასეთივე მოგება?!

**— საფრანგეთში წაგებას არ მოჰყოლია იმდენი კრიტიკა, რაც ლიტვასთან მარცხს მოჰყვა...**

— მართალია, მე არ მითამაშია ლიტვასთან, მაგრამ ალალად შემეცოდნენ ბიჭები. წასაგები არაფერი გვჭირდა — ლიტვამ ორჯერ დაარტყა კარში და ერთი გაიტანა, არადა, ორივე ტაიმში უპირატესობა ჩვენი იყო. არ მინდა, მსაჯებს გამოვეკიდო, მაგრამ ლიტველმა ფრენბურთელის ილეთით რომ ჩამოხსნა ბურთი ხელით ან დემეტრაძე რომ წააქციეს, პენალტები არ იყო? ზოგჯერ ასეც ხდება ფეხბურთში — უპირატესობას ფლობ, მაგრამ აგებ.

**— პირადად შენ საფრანგეთის დარ ძლიერ გუნდთან როდესმე გითამაშია?**

— არა. მითამაშია შვეიცარიასთან, ირლანდიასთან, რუსეთთან, მაგრამ ამათი საფრანგეთთან შედარება არ შეიძლება.

**— თქვი, ფრანგებთან მეორე ტაიმში ცოტა უკეთ ვითამაშეთო. შესვენებაზე რა გითხრათ კლაუს ტოპმიოლერმა?**

— იცით, როდესაც საფრანგეთთან სტუმრად თამაშობ და ანგარიში 0:0-ია, ძალაუნებურად ჯერ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობ. სხვანაირად ვერ ითამაშებ, რადგან რომც მოინდომო, ამხელა გრანდი მაინც უკნიდან თამაშს გაიძულებს. შესვენებაზე ტოპმიოლერმა უფრო თამამი თამაშისკენ გვიბიძგა, მაგრამ ისიც იყო, რომ უკან ზონები არ უნდა მიგვეტოვებინა.

**— ამდენი წაგების მიუხედავად, ბევრი მაინც ფიქრობს, რომ ნაკრები პროგრესის გზას ადგას. შენი აზრიც საინტერესოა...**

— მეც ასე ვფიქრობ. მართალია, შედეგი მთავარია, მაგრამ ასე ვიტყვი: სამი-ოთხი წლის წინ ამ საფრანგეთის ნაკრებთან 0:5-ს ან 0:6-ს წავაგებდით. მე თვითონაც ვთამაშობდი სამი-ოთხი წლის წინ ნაკრებში და არავინ არ მიიღოს შეურაცხყოფად, მაგრამ მაშინ ძალიან მდარე ხარისხის ფეხბურთს ვთამაშობდით. პირადად მე კლაუს ტოპმიოლერს ევროპული დონის მწვრთნელად ვთვლი — მასთან მუშაობა მიადვილდება, მისი დავალება უფრო ადვილად გადამაქვს მინდორზე...

**ილია ნანობაშვილი**

# მოდით, ვნახოთ პოლონეთი



**წაგება** წაგებაა, მაგრამ ესპანეთთან თამაშმა გულშემატკივრებს ისიც დაანახა, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს ტალანტები არ აკლია და ეროვნულ გუნდს ღირსეული ცვლა ეზრდება. პეტარ სეგრტის გუნდმა მძლავრ პირინეელებს მაგარი ბრძოლა გაუმართა და ფრესთანაც ახლო იყო. შესაბამისად, ევრო 2009-ზე გასვლის პატარა იმედიც გაჩნდა — შეგახსენებთ, ესპანეთ-პოლონეთ-საქართველო-რუსეთ-ყაზახეთის ხუთეულიდან პირველადგილოსანი პირდაპირ გადის პლეი ოფში და მათ ათი ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანიც დაემატება.

ქართველ 21-წლამდელებს მომდევნო შეხვედრა 22 აგვისტოს აქვთ პოლონეთში. სეგრტმა თქვა, ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი იქნება მეორე ადგილისთვის ბრძოლაშიო.

პოლონეთის ახალგაზრდული ნაკრები ევროპაში საშუალო გაქანების გუნდად ითვლება — შარშანდელ საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვაკებმა სამგუნდა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს: ლატვიას შინ 3:1 სძლიეს, პორტუგალიასთან კი სტუმრად 0:2 წააგეს. თუმც, ცხადია, იმ გუნდში მეტწილად 1985 წელს დაბადებულები თამაშობდნენ.

შეხსენებისთვის, ქართველმა 21-წლამდელებმა იმავე საკვალიფიკაციოზე ლიტვასთან გასვლაზე 0:1, სერბეთთან კი შინ 1:3 წააგეს.

მაინც, ზედაპირულად რას წარმოადგენს ჩვენი მეტოქე? მწვრთნელ ანდრეი ზამილსკის გუნდს ამ გაზაფხულზე სამი ამხანაგური ჰქონდა: პოლონელებმა ვარშავაში ლიტვას 2:0 მოუგეს, მერე კი ორი გასვლითი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით, 0:1 წააგეს რუმინეთთან და ჰოლანდიასთან.

აქვე პოლონელთა შემადგენლობასაც გთავაზობთ, რომლითაც მათ ამ სამ მატჩში ითამაშეს:

*მეკარეები: ადამ სტაჩოვიაკი (ოდრა), ადრიან ბიენკი (ნოვი დვორი);*

*მცველები: სიმონ პავლაკი (უნია), იაკუბ რზეჟნიჩაკი (ვიძევი), პიოტრ პოლჩაკი (კატოვიცე), პატრიკ კლოვიკი (ზავლებიე), მარიუშ პაველეცი (გურნიკი), პრჟემისლავ კოჩოტი (გურნიკი);*

*ნახევარმცველები: პიოტრ კუკლისი (ვიძევი), სიმონ პავლოვსკი (ზავლებიე), ცეზარ ვილკი (ლკს ლოძი), ცეზარ პრზევლოჟნიაკი (პიაშტი), ადრიან პლუტა (კრაკოვი), კრჟიშტოფ კალიჩაკი (გურნიკი), მიხაილ ფილიპოვიჩი (პიაშტი), რადოსლავ მაიევსკი (ვროცლინი), მიროსლავ დებიეცი (პოლონია);*

*თავდამსხმელები: კრჟიშტოფ სოკალსკი (ვიძევი), იანუშ სურდიკოვსკი (გურნიკი), მატიუშ კოლოდიეჟსკი (აზკა), ადამ ორლოვიცი (ოდრა).*

ლიტვასთან მოგებულ მატჩში გოლები სურდიკოვსკიმ და ვილკმა გაიტანეს.

ცნობისთვის, „გურნიკის“ ფორვარდი სურდიკოვსკი ამ გუნდში გამორჩეულად ითვლება.

და კიდევ, პოლონეთის U-21-ის მწვრთნელმა ანდრეი ზამილსკიმ განაცხადა, გუნდს რამდენიმე ლეგიონერი დაემატებაო — ასეთი კი სულ ოთხი-ხუთი კაცია...

**ილია ნანობაშვილი**

# ცოტაც და, კლოზეც მოვა
## ბაიერნი ქაცვებს ილესავს

მიუნხენის „ბაიერნის“ ხელმძღვანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე შვებულების შემდეგ კვლავ მიუჯდა სამუშაო მაგიდას. ლუკა ტონის, ფრანკ რიბერისა და ზე რობერტოს ტრანსფერები მოგვარდა, თუმცა მიროსლავ კლოზეს თემა ჯერ კიდევ აქტუალურია. საინტერესოა, რას ფიქრობს ამ და სხვა საკითხებზე რუმენიგე, ვისაც „ბილდი“ ესაუბრა...



— სრულიად ახალ გუნდთან მუშაობა ნამდვილად არ იქნება იოლი მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდისთვის...

— სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ სამუშაოსთვის შესაფერისი ადამიანი გვყავს. რა თქმა უნდა, ადვილი არ იქნება, ამდენი ახალი ფეხბურთელის შეთამაშება. თან კიდევ ერთს, კლოზესაც ველოდებით.

— და რა ხდება კლოზესთან დაკავშირებით?

— ვფიქრობ, ზაფხულის ბოლომდე ის ჩვენთან გადმოვა. „ვერდერს“ ნამდვილად არ შეუძლია უკმაყოფილო ფეხბურთელის კიდევ ერთი წლით შენახვა.

— რამდენ დროს მისცემთ ჰიცფელდს ყველაფრის დასალაგებლად?

— ვფიქრობ, არა მხოლოდ ნახევარ წელს, არამედ მთელ სეზონსაც.

— და აქედან რა უნდა გამოვიდეს?

— მიზანი მხოლოდ ჩემპიონობა შეიძლება იყოს. ასევე ვეცდებით, უეფას და გერმანიის თასების მოგებას. ჩვენ ამისთვის ნამდვილად კარგი საფუძველი შევქმენით.

— ჰიცფელდთან კონტრაქტი 2008 წლამდეა. ეს დრო საკმარისია?

— ყველანი შევთანხმდით, რომ ამასთან დაკავშირებით ზამთრის შესვენებამდე არაფერს მოვიმოქმედებთ. მაშინ შევიკრიბებით და სამომავლო გეგმებზე შევთანხმდებით.

— ამბობენ, რომ „შტუტგარტის“ ახალი სპორტული დირექტორი ფელიქს მაგათი ბაიერნელი ფეხბურთელებით — ლელით, ოტლითა და გიორლიცითაა დაინტერესებული...

— არავისთვისაა საიდუმლო, რომ „ფოლკსვაგენის“ შეფ ვინტერკონთან და მაგათთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ვნახოთ, რა მოხდება...

# ბუხვალდის პირველი მშობლიური



მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებული „ალემანიას“ მთავარი მწვრთნელი გვიდო ბუხვალდი გახდა, რომელიც ადრე იაპონურ „ურავაში“ მუშაობდა.

„კიკერის“ ცნობით, 46 წლის ბუხვალდმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და „ალემანია“ მის სამწვრთნელო კარიერაში პირველი გერმანული კლუბი იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## სკოტ პარკერი

ნახევარმცველი

დაიბადა 1980 წლის 13 ოქტომბერს ლონდონში

სიმაღლე: 1,75 მეტრი, წონა: 69 კგ

კარიერა: 1997-04 წლები — „ჩარლტონი“ (128 მატჩი, 9 გოლი), 2000 წელი — „ნორვიჩი“ (6 მატჩი, 1 გოლი), 2004-05 წლები — „ჩელსი“ (15 მატჩი, 1 გოლი), 2005-07 წლები — „ნიუკასლი“ (55 მატჩი, 4 გოლი)

2003 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში (3 მატჩი, 0 გოლი)






## PORSCHE 911

გამოშვების თარიღი: 2004 წელი

სიგრძე: 4,427 მეტრი

სიგანე: 1,852 მეტრი

სიმაღლე: 1,310 მეტრი

წონა: 1 650 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,6

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 240 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 73 000 დოლარი

# ტექნიკური და პასიანი აისატი

**ჰოლანდიის** ახალგაზრდული ნაკრებისა და პსვ-ს ნახევარმცველ ისმაელ აისატის შეძენით „ჩელსი“ დაინტერესდა. გასული სეზონის მეორე ნახევარი აისატიმ „ტვენტეში“ გაატარა.

THE PEOPLE-ს ცნობით, „ჩელსის“ სკაუტი პიტ დე ფესერი ფეხბურთელს სანაკრებო მატჩებში აკვირდება და, მისი აზრით, ბიჭი საკმაოდ ნიჭიერია. წარმოშობით მაროკოელს ტექნიკა არ დაეწუნება და საგოლე პასებიც ეხერხება.

# სტამბოლი ან ჰიუსტონი კლოდს

**სტამბოლის** „ბეშიქთაში“ და ჰიუსტონის „დინამო“ კლოდ მაკელელეს ყიდვას ლამობენ.

თურქული კლუბი ფრანგ ნახევარმცველს ორწლიან კონტრაქტს და წელიწადში 3 მილიონ 750 ათას ევროს სთავაზობს, მეიჯორლიგის „დინამო“ კი — სამ მილიონ დოლარს.

მაკელელეს შეძენა „მილანს“, „ვილიარეალს“ და „ოლიმპიაკოსსაც“ უნდათ.

ფრანგის კონტრაქტი „ჩელსისთან“ მომავალ ზაფხულს იწურება.

# თუნჯაის ინგლისური

**პრემიერლიგაში** ალზევებულ „ბირმინგემს“ „ფენერბაჰჩედან“ თუნჯაი შანლის გადაბირება უნდა და ამ საქმეში „მიდლსბროს“ ეცილება.

თურქეთის ნაკრების ფორვარდს კლუბთან კონტრაქტი ივნისის ბოლოს ეწურება და მის მსურველ გუნდს ფულის გადახდა არ მოუწევს.

თუნჯაის „ოლიმპიაკოსი“ და „ჰერტაც“ ეპატიჟებიან, მაგრამ მას გული ინგლისისკენ მიუწევს.

# გაძლიერება სტეინსონით

**„ალკმაარის“** ისლანდიელი მცველი გრეტარ სტეინსონი ეგებ „მიდლსბროში“ გადავიდეს. ბოროელთა მწვრთნელ გარეთ საუთგეიტს დაცვის გაძლიერება უნდა, რადგან გუნდიდან აბელ შავიერი და სტიუარტ პარნაბი წავიდნენ.

სტეინსონი „ალკმაარში“ 2005 წელს გადავიდა და უმალ დამკვიდრდა ძირითად შემადგენლობაში. მისი ფასი 6 მილიონი ევროა.

# ოსკარს უყვარს მანჩესტერი

**„ინდეპენდიენტეს“** პრეზიდენტმა ხულიო კომპარადამ „ევროსპორტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ გუნდის მეკარეს ოსკარ უსტარის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა სურს და ინგლისური კლუბისგან შეთავაზება თუ იქნება, მოლაპარაკებას დაიწყებენ.

სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი მეკარით „ბარსელონა“ და „რეალი“ არიან დაინტერესებულნი, „ვილიარეალმა“ კი უკვე სცადა მისი ყიდვა და არ გამოუვიდა.

„უსტარის გაყიდვას არ ვჩქარობთ — თქვა კომპარადამ — რადგან ფინანსურ კრიზისში სულაც არ ვართ, როგორც მედიაში წერენ. წლეულს ოფიციალურად ჩვენთვის ჯერ არავის მოუმართავს, თუმცა ვიცით, რომ ბევრ ევროპულ კლუბს სურს მეკარის შეძენა. ჩემი აზრით, ყველაზე რეალური „მანჩესტერის“ ვარიანტია, რადგან თვითონ ოსკარს ძალიან უნდა ფერგიუსონის გუნდში თამაში.“

# დროგბა გზაგასაყარზე

**SKY-სთან** საუბარში დიდიე დროგბამ თქვა, არ ვიცი, დავრჩები თუ არა „ჩელსიში“. კოტდივუარელი ფორვარდის აზრით, მის კარიერაში დადგა დრო, როცა სხვა ქვეყანაშიც უნდა სცადოს ბედი.

— „ჩელსი“ ისეთი ამბიციური აღარაა, როგორიც თავიდან იყო — განაცხადა დროგბამ — ახლა გზაგასაყარზე ვარ და, რაც შეიძლება, მალე უნდა გადავწყვიტო, დავრჩები თუ არა ამ გუნდში. სხვა ლიგებში თამაშის სურვილიც მაქვს. ყველაზე მეტად კი პრიმერადივიზიონი და სერია A მხიბლავს.“

# ტევესი ინტერზე ფიქრობს

**კარლოს ტევესი** „ინტერში“ გადასვლის ვარიანტმა დააფიქრა. „ვესტ ჰემის“ არგენტინელი ფორვარდი ახლა ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და „კოპა ამერიკისთვის“ ემზადება. მისი ყიდვა „ინტერს“ და „მანჩესტერს“ უნდათ და იტალიური კლუბის შანსი უფრო მეტია, რადგან იქ ბევრი არგენტინელი თამაშობს.

„ვიცი, რომ „ინტერი“ დაინტერესებულია — თქვა ტევესმა — კარგი იქნებოდა, სერია A-ში ძალების მოსინჯვა, განსაკუთრებით იმ გუნდში, სადაც არაერთი არგენტინელია. ამასთან დაკავშირებით, „ინტერის“ წარმომადგენლებს ჩემი აგენტი რამდენჯერმე ესაუბრა, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როგორ დამთავრდა მათი მოლაპარაკება.“

# კეირუში ფერგიუსონი გახდება

**„მანჩესტერის“** მეორე მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონის თანაშემწე კარლუშ კეიროშმა განაცხადა, რომ შოტლანდიელის წასვლის შემდეგ გუნდის თავკაცობა სურს.

„ფერგიუსონი კვლავაც გამარჯვებაზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ კარიერაში არაერთი ჯილდო მოიგო — თქვა პორტუგალიელმა — მასთან მუშაობით ბევრი რამ ვისწავლე და ვიმედოვნებ, რომ ოდესმე მის ადგილს დავიკავებ.“

ფერგიუსონი, სავარაუდოდ, კიდევ ორი წლით დარჩება „მანჩესტერში“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სოლანომ ნაკრები იუარა

„ნიუკასლის" ნახევარმცველმა ნოლბერტო სოლანომ ნაკრებში დაბრუნება იუარა.

მან ორი წლის წინ გამოაცხადა სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ, რადგან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს პოლიტიკა დაუწუნა და არაერთხელ საჯაროდ გააკრიტიკა. მწვრთნელ ხულიო სეზარ ურიბეს სურდა სოლანოს დაბრუნება „კოპა ამერიკისთვის", მაგრამ ნიუკასლელმა არ ისურვა.

სამაგიეროდ, გამოძახებულია კლაუდიო პიზარო, რომელიც „ბაიერნიდან" „ჩელსიში" გადავიდა. პიზაროც სოლანოსავით აჯანყდა შარშან, როცა ნაკრები ჩილეში ამხანაგური მატჩების სათამაშოდ იყო ჩასული და თვითნებურად მიატოვა ნაკრები.

გამოძახებულები არიან ჯეფერსონ ფარფანი და პაულუ მერუროც.

## ჯილეტი: მშვიდად, ფული იქნება!

„ლივერპულის" თანამფლობელმა ჯორჯ ჯილეტმა დაამშვიდა ქომაგები და „გარდიანთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ კლუბი სათანადო ფულს დახარჯავს შემადგენლობის გასაძლიერებლად.

ამასთან, ჯილეტის თქმით, ის და მისი ბიზნესპარტნიორი ტომ ჰიკსი არ აპირებენ ვირვანქების გადაყრას ისე, როგორც მთვრალი მეზღვაურები. ჯილეტმა ისიც ბრძანა, რომ ბენიტესის ნათქვამი, ფეხბურთელების საყიდლად პატრონი ფულს არ გვაძლევსო, ტყუილია.

„რაფაელ ბენიტესმა ჯერ კიდევ თებერვალში წარმოგვიდგინა კლუბის განვითარების პროგრამა და ამის მიხედვით ვმოქმედებთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფული აქეთ-იქით ვყაროთ. ქომაგებს ვარწმუნებთ, რომ დიდძალ ფულს დავხარჯავთ, ოღონდ ეს ჭკვიანურად უნდა ვაკეთოთ".

## ჯიმი სოფიაში

**სოფიის** „ლევსკის" მწვრთნელი სტანიმირ სტოილოვი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს შეხვდა და ბულგარეთში თამაში შესთავაზა.

„ძალიან ძნელი იქნება ჰასელბაინკის დაყოლიება, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ" — თქვა სტოილოვმა.

35 წლის ჰოლანდიელი ფორვარდი ბოლოს „ჩარლტონში" იყო, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა, ფეხბურთელს კი კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია.

## ბარტეზი გაღმა გავიდა

**ფაბიენ ბარტეზი** მექსიკურ „ნეკაქსაში" გადავიდა. ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა ხავიერ პერეს ტუფერმა განაცხადა: „ოფიციალურად ვადასტურებთ, რომ ერთი წლის განმავლობაში ბარტეზი ჩვენთან ითამაშებს".

35 წლის ფრანგს ნაკრების მაისურა 87-ჯერ მოურგია და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგია.

ფაბიენ ბარტეზი ბოლოს „ნანტში" იყო, საიდანაც აპრილის მიწურულს წავიდა. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ მეკარეს სტადიონის გარეთ გაავებული ფანები დახვდნენ და ცემა დაუპირეს. ბარტეზი გაბრაზდა და „ნანტიდან" ჩემპიონატის დასრულებამდე აიბარგა.

## კაბულობას ანტონიო იკისრებს

**ბრაზილიელი** მცველი მარკოს ანტონიო „ოსერმა" იყიდა პორტუგალიური „ლეირიადან". ფრანგული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ჟერარ ბურგუამ გუშინ თქვა, რომ ტრანსფერი უკვე მოგვარებულია და ქაღალდებიც ხელმოწერილია.

24 წლის ანტონიოს ადრე „პორტუში" და „ჟილ ვისენტეში" უთამაშია. „ოსერში" იგი იოან კაბულს შეცვლის, რომელიც „ტოტენჰემში" მიდის.

## ეფსტაფიოსი დაცვაში

**საბერძნეთის** ნაკრების მცველი ეფსტაფიოს ტავლარიდისი „ლილიდან" „სენტ ეტიენში" გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 27 წლის ბერძენმა სამი სეზონი გაატარა „ლილში". ჩემპიონატში 100-მდე მატჩი ითამაშა, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში 11.

ტავლარიდისმა კარიერა „ირაკლისში" 1996 წელს დაიწყო, 2001-ში კი ლონდონის „არსენალში" გადაბარგდა, სადაც მეტწილად სათადარიგოებში იჯდა.

## გარსია ელიტაში დაბრუნდა

„**ლე მანიდან**" „სოშოში" წასული მწვრთნელის, ფრედერიკ ჰანცის ადგილი რუდი გარსიამ დაიკავა.

„სენტ ეტიენის" ყოფილი თავკაცი გარსია ბოლოს მეორე დივიზიონის „დიჟონში" მუშაობდა, ახლა კი ელიტაში დაბრუნდა და „ლე მანთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

## შინავატრა გაყინეს

**გამომძიებლების** მოთხოვნით, ტაილანდში ტაკსინ შინავატრას საბანკო ანგარიშები გაყინეს. შინავატრა ტაილანდის ყოფილი პრემიერ-მინისტრია და ამჟამად „მანჩესტერ სიტის" შეძენას ცდილობს. იგი შარშან სამხედრო გადატრიალების შედეგად გადააყენეს პოსტიდან. „სიტის" ადვოკატებმა ყოფილ პრემიერს წერილობითი გარანტია სთხოვეს იმის დასტურად, რომ ნამდვილად შეძლებს 90 მილიონის გადახდას. შინავატრას ადვოკატმა დაარწმუნა სიტელები, ანგარიშების გაყინვა პრობლემებს არ შეგვიქმნისო.

**გაგა ხუციშვილი**



# საფრანგეთის ბარსელონა

## სავიოლა რეალს ელაპარაკება

**ესპანური** პრიმერას დამთავრებამდე ბოლო, გადამწყვეტი ტური დარჩა, რომელშიც გაირკვევა, გახდება „ბარსელონა" ლა ლიგის ჩემპიონი მიჯრით მესამედ თუ არა.

ცოტა ხნის წინ უკვე მოგახსენეთ, რომ „ბარსა" 2007-2008 წლების სეზონისთვის გუნდის „ფრანგული სამეულით" გაძლიერებას აპირებს. ლაპარაკია ტიერი ანრის, ერიკ აბიდალისა და იაია ტურეს მოყვანაზე.

კატალონიურმა გაზეთებმა უკვე აღნიშნეს, რომ გაისად „ბარსელონას" მაისურაზე MADE IN FRANCE უნდა ეწეროს, თუმცა...

„ბარსას" თავკაცობა ახლა გაცილებით მეტად ფრთხილობს და წინდახედულად მოქმედებს, ვიდრე შარშან. 2006 წელს კატალონიელებმა ანრისთან თითქოს შეთანხმებას მიაღწიეს, მაგრამ ფრანგმა ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ უეცრად განაცხადა, „არსენალში" ვრჩებიო და მთელი კატალონია განცვიფრებული დატოვა.

უპირველეს ყოვლისა, ხუან ლაპორტას ბანაკმა სასურველი ფეხბურთელების წარმომადგენლებთან ხელშეკრულებები გააფორმა. ანრის, აბიდალისა და ტურეს აგენტები, წინასწარი შეთანხმებით, ვიდრე სხვა დაინტერესებულ კლუბთა შემოთავაზებებს განიხილავდნენ, უმალ „ბარსას" სურვილს გაითვალისწინებენ.

გარდა ამისა, ფეხბურთელებს სთხოვეს, რომ მათ „ბარსაში" გადაბარგების სურვილი საჯაროდ გამოეთქვათ. სადღეისოდ „კამპ ნოუზე" სავარაუდო გადასვლის შესახებ მედიასთან დაუფარავად მხოლოდ აბიდალმა ისაუბრა. რაღაც მსგავსი გააკეთა ანრიმაც, ოღონდ, მოგეხსენებათ, ის „არსენალისგან" დიდად დავალებულია, პირდაპირ ჩივილს ერიდება და მხოლოდ ირიბად მიანიშნებს — ჩემმა ამჟამინდელმა კლუბმა ისეთი შემადგენლობა ვერ შეკრიბა, რომლითაც ტიტულების მოგება შეიძლებაო.

ფეხბურთელთა წარმომადგენლებთან საერთო ენის გამონახვის შემდეგ, „ბარსას" უფრო რთული ნაბიჯის გადადგმა მოუწევს, კატალონიელები უშუალოდ ანრის, აბიდალისა და ტურეს კლუბებთან უნდა გავიდნენ მოლაპარაკებაზე.

აქ კი თავს სხვა პრობლემა იჩენს. საქმე ისაა, რომ ბარსელონური ბანაკი სატრანსფერო საკითხში ერთსულოვანი არ არის. კლუბის დირექტორატშიც და სამწვრთნელო შტაბშიც არის ხალხი, რომელიც ჭირვეულ ანრის უნდობლად უყურებს და მოითხოვს, რომ სანამ „არსენალთან" სერიოზულ მოლაპარაკებას წამოიწყებენ, ჯერ ბოლომდე გაარკვიონ საქმე ფრანგის აგენტ ჟერომ ანდერსონთან — ვაითუ უცნაური ტიერი ბოლო მომენტში ისევ გაჯიუტდეს და სატრანსფერო დავთრები შარშანდელივით აგვერიოსო. აბა, ვინ ფიქრობდა, 2006-ში „კამპ ნოუზე" ეიდურ გუდიონსენის მოყვანას, ყველას ანრი ჰყავდა „ბარსელონას" ფორმაში წარმოდგენილი.

ხსენებული ანდერსონი კი „ფრანს ფუტბოლის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ამ გამოცემამ მკითხველს ანრის „ბარსელონაში" გადასვლის ამბავი აცნობა.

„ბარსა და ანრი თითქმის შეთანხმდნენ" — ეწერა „ფრანს ფუტბოლის" თავფურცელზე და იქვე იყო ცნობა, რომ ფრანგის წარმომადგენელი ანდერსონი კატალონიური გრანდის სპორტულ დირექტორ ჩიკი ბეგირისტაინს საიდუმლოდ შეხვდა და სამწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა. გაზეთის ვერსიით, „ბარსა" 25-30 მილიონს გადაუხდის „არსენალს", ანრი კი „კამპ ნოუზე" გატარებულ ყოველ სეზონში 10 მილიონ ევროს მიიღებს.

მის აგენტს „ფრანს ფუტბოლის" სენსაციური ცნობა სასტიკად არ მოეწონა. ანდერსონმა „დეილი ტელეგრაფთან" ინტერვიუში განაცხადა, ბეგირისტაინთან არავითარი შეხვედრა არ მქონია და, საერთოდ, ვაპირებ, იურიდიული კონსულტაციები გავიარო, „ფრანს ფუტბოლს" როგორ უნდა ვუჩივლოო.

„ბებერი" ანრისგან განსხვავებით, „მონაკოს" ნახევარმცველს იაია ტურეს კარიერის საუკეთესო წლები წინ აქვს. უკვე 6 სეზონია, აფრიკელი ფრანგულ ლიგაში ბურთაობს და მხოლოდ 24 წლის გახლავთ. ანრიზე უმცროსია ერიკ აბიდალიც. საფრანგეთის ნაკრებისა და „ლიონის" მარცხენა მცველი 28 წლისაა.

აბიდალმა „ლიონის" პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას სთხოვა, რომ „ბარსაში" მისი გადასვლა არ გაერთულებინა. პრეზიდენტმა ეს თხოვნა პირიქით გაიგო და აბიდალში 20 მილიონი ევრო მოითხოვა. ამან „ბარსელონას" უფროსობა შოკში ჩააგდო, უკანახაზელის სანაცვლოდ ამხელა ფულის გადახდას არ ვაპირებთო.

„ბარსა" არც იაია ტურეს შეძენისთვის გეგმავს ჯიბეების დაცარიელებას. კატალონიელთა თავკაცობამ იცის, რომ წლეულს ნახევარდაცვაში მოტამ და ედმილსონმა მოიკოჭლეს და ახალი ხალხის მოყვანაა საჭირო. მიუხედავად ამისა, „მონაკოს" ზღაპრულ თანხას არავინ გადაუხდის. თუმცა ჯერ უცნობია, სამთავროს კლუბი ტურეს სანაცვლოდ რას მოითხოვს.

ახლა იმათზე, ვინც „ბარსელონადან" წასვლას აპირებს. ესპანეთში ამტკიცებენ, რომ ხავიერ სავიოლა მომავალ სეზონში... მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი გახდება.

არგენტინელი „პაჭია" თავის დროზე „კამპ ნოუს" ინჩასთა საყვარელი ფეხბურთელი იყო, თუმცა გავიდა ხანი, სავიოლასთვის ფრანკ რაიკარდის „ბარსელონაში" ადგილი ვერ მოიძებნა და ფეხბურთელიც იძულებული გახდა, სხვადასხვა კლუბში იჯარით ებურთავა.

წლეულს „პაჭიას" შეძენას „ვილიარეალი" და „სარაგოსა" ცდილობდნენ, თუმცა სავიოლას მათი შეთავაზებები არ მოეწონა და „ბარსას" მოსისხლე მტერთან დაიწყო მოლაპარაკება. ყოველ შემთხვევაში, ხოსეპ მარია მინგელამ, „ბარსელონას" პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა, ასე უთხრა რადიო RAC-1-ს: „ვიცი, რომ ხავიერ სავიოლას „რეალში" გადასვლა არა ზღაპარი, არამედ სავსებით რეალური საქმეა. მადრიდში მიაჩნიათ, რომ „პაჭია" გაისად სწორედ მათ გუნდში ითამაშებს."

და, რა თქმა უნდა, სამუელ ეტოო და „მილანი". იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „მილანს" გადაუწყვეტია, ლა ლიგის ჩამთავრებისთანავე კამერუნელის წარმომადგენლებს შეხვდეს და სამუელის „სან სიროზე" შესაძლო გადასვლის შესახებ მოეთათბიროს.

„როსონერი" მზადაა, ეტოოში 40 მილიონი ევრო გადაიხადოს.

„გაძეტა" ამტკიცებს, რომ მილანური კლუბი ეტოოს აგენტ ხოსე მარია მესალესთან საერთო ენას მალე გამონახავს — იტალიური მედიის ვერსიით, „როსონერის" ხალხი მესალესს ათენში, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდგომ შეხვედრია და სამუელის ტრანსფერზე ხალისიანად უსაუბრიათ. თუმცა კატალონიური „სპორტი" საპირისპიროს ამბობს — აპენინელები ეტოოს წარმომადგენლებთან ჯერ კონტაქტზე არ გასულან და, საერთოდ, ლიგის ფინალის დღეს პატივცემული მესალესი ათენში სულაც არ გახლდათ, კამერუნში იყო, სადაც ეტოოს ფონდის საქმეებს აგვარებდაო.

„მილანი" კი 17 ივნისს, ანუ ლა ლიგის დასრულების დღეს, „ბარსაზე" სატრანსფერო შტურმის მიტანას მაინც აპირებს. იტალიელები კატალონიელებს 40 მილიონს, ხოლო თავად ეტოოს სეზონში 6 მილიონ ევროს აპირდებიან.

კამერუნელის გარდა, „მილანს" ორი სხვა ფეხბურთელიც აინტერესებს — ჟოზე ედმილსონი და ტიაგო მოტა.

გარდა ამისა, სილვიო ბერლუსკონის კლუბმა, შეიძლება, სამომავლოდ მადრიდელი ემერსონიც შეიძინოს.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალს უახლეს ისტორიაში უჭირს

„მალიორკა" პრიმერადივიზიონის სხვა კლუბებისგან იმით გამოირჩევა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუდან" ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე მეტი ქულა წაუღია. ბოლო ექვს სეზონში კუნძულელთა გუნდმა მადრიდში სამი გამარჯვება და ერთი ფრე გააზერხა.

ასეთი მაჩვენებლით „ბარსელონასაც" არ შეუძლია, თავი მოიწონოს, კატალონიური გრანდი კი ჯერჯერობით ოცდამეერთე საუკუნის ლა ლიგის საუკეთესო კლუბადაა მიჩნეული. კატალონიელებმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" ორჯერ მოიგეს და ორჯერ ფრე გააზერხეს. ზუსტად ასეთი მონაგარი აქვს გალისიურ „სელტასაც".


გრეგორიო მანსანო

რატომ ვლაპარაკობთ ყოველივე ამის თაობაზე? იმიტომ, რომ კვირას „რეალი" პრიმერას ბოლო ტურში სწორედ „მალიორკას" ხვდება და სამეფო თეთრებსაც ჩემპიონობისთვის კუნძულელთა დამარცხება სჭირდებათ („რეალს" სხვა საჩემპიონო ვარიანტებიც აქვს, თუმცა, ცხადია, თავი ქუდში რომ იგრძნონ, სტუმარი უნდა შეჭამოს).

არადა, როგორც ვხედავთ, ისტორიულად, „მალიორკა" სულაც არ გახლავთ „ცხვარი" „ბერნაბეუზე", უფრო პირიქითაა...

კუნძულელთა არნახული მძლავრობის მწვერვალი 2002-03 წლების სეზონში იყო, როცა „მალიორკამ" უილბლო ვისენტე დელ ბოსკეს ნათავკაცები „რეალი" 5:1 მოსპო „ბერნაბეუზე" და მადრიდულ ინჩადას კინაღამ ინფარქტი დამართა. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ მალიორკელებს მაშინ სამუელ ეტოო ჰყავდათ, გოლზე დაგეშილი შესანიშნავი ფორვარდი და „რეალის" დაუძინებელი მტერი...

პალმას გუნდს ამჟამად გრეგორიო მანსანო მეთაურობს, მწვრთნელი, რომლისთვის ლა ლიგის ბოლო ტურში „რეალის" დამარცხება უცხო ხილი არ არის.

„მადრიდის „რეალი" ჩვეულებრივი ადამიანებისგან შედგება, რომელთა ძლევაც სავსებით შესაძლებელია. ოთხმოცდაათ წუთში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. ფავორიტი მასპინძელია, მაგრამ ეს ადრეც ასე იყო, როდესაც „რეალს" პრიმერადივიზიონის ბოლო მატჩში მოვუგეთ" — განუცხადა მანსანომ ჟურნალისტებს.

1999-2000 წლების პრიმერადივიზიონის 38-ე ტურში სამეფო გუნდმა „ბერნაბეუზე" „ვალიადოლიდთან" 0:1 წააგო და საჩემპიონთა ლიგო ოთხეულის მიღმა დარჩა. და ვინ ხელმძღვანელობდა იმდროინდელ „ვალიადოლიდს"? ვინ და, გრეგორიო მანსანო.

**ლადო ხომერიკი**

# პატარა დანიამ უეფას მოუგო


AFP

**უეფამ** წინა კვირაში მიღებული გადაწყვეტილება შეცვალა და დანიის ნაკრებს მომდევნო ოთხი მატჩის კოპენჰაგენში გამართვის ნება მისცა.

2 ივნისს დანია — შვედეთის მატჩი, რომელსაც ჰერბერტ ფანდელი სჯიდა, 89-ე წუთზე შეწყდა მთვრალი ქომაგის მოედანზე შეჭრის გამო. იგი მსაჯის საცემრად იწევდა. იმ მომენტისთვის ანგარიში 3:3 იყო და სტუმრებს პენალტი უნდა დაერტყათ.

უეფამ ამბავი ერთი კვირის წინ განიხილა და დანია დასაჯა — ევრო 2008-ის შესარჩევი მომდევნო ოთხი საშინაო მატჩის თამაში კოპენჰაგენიდან 250 კილომეტრის მოშორებით მიუსაჯა.

დანიელებმა სასჯელი გააპროტესტეს, რადგან ქვეყანა პატარაა და დედაქალაქიდან 250 კილომეტრში სათანადო სტადიონი არ არსებობს, ფაქტობრივად, სხვა ქვეყანაში უნდა ემასპინძლა მეტოქეებისთვის.

უეფამ ეს გაითვალისწინა და კოპენჰაგენში თამაშის უფლება მისცა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჟი-პი-პი მადლობით წავიდა



**ჟან-პიერ პაპენმა** „სტრასბური" მეორედან პირველ დივიზიონში აიყვანა და გუშინ გუნდიდან წავიდა.

მან 2006-ის მაისში ჩაიბარა „სტრასბური", რომელიც მისი პირველი კლუბი იყო სამწვრთნელო კარიერაში.

„ჩვენ ვერ მოვრიგდით პირობებზე და მან წასვლა გადაწყვიტა. მადლობას ვუხდით გაწეული შრომისთვის და წარმატებას ვუსურვებთ" — თქვა კლუბის პრეზიდენტმა ფილიპ ჟინესტემ.

პაპენმა, რომელსაც „ჟი-პი-პის" ეძახდნენ, საფრანგეთის ნაკრებში 54 მატჩში 30 გოლი შეაგდო. ფეხბურთელობისას კი „მარსელში", „მილანში" და „ბაიერნში" უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მხეცი ზეს მაგივრად

**იმის გამო,** რომ ზე რობერტომ სანაკრებო კარიერა დაასრულა, კარლოს დუნგამ „კოპა ამერიკისთვის" ჟულიო ბაპტისტა გამოიძახა, რომელიც მადრიდის „რეალს" ეკუთვნის და ლონდონის „არსენალშია" განათხოვრებული.

მეტსახელად „მხეცს" ეროვნულ ნაკრებში შარშან სექტემბრის აქეთ არ უთამაშია — მაშინ ბრაზილიამ ამხანაგურ მატჩში უელსს 2:0 მოუგო.

## სარაგოსა და სენდეროსი

**„სარაგოსას"** „არსენალიდან" შვეიცარიელი მცველის, ფილიპ სენდეროსის ყიდვა უნდა, რადგან ევროტურნირის წინ შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს. სენდეროსი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, სადაც კოლო ტურე და უილიამ გალასი დამკვიდრდნენ.

„მიროირთან" ინტერვიუში „სარაგოსას" სპორტულმა დირექტორმა განაცხადა: „შვეიცარიელი მცველის შეძენა გვსურს, მაგრამ ჯერ მოლაპარაკება არ დასრულებულა".

## სამშობლოს ერთგული დიარა

**მადრიდის** „რეალის" ნახევარმცველი მაჰამადუ დიარა ბოლო ტურში „მალიორკასთან" არ ითამაშებს. მალელ ფეხბურთელს ნაკრებში უხმეს და აფრიკის თასის შესარჩევ მატჩში ეროვნულ გუნდს უნდა დაეხმაროს სიერა ლეონეს წინააღმდეგ.

„ნაკრებს აუცილებლად დავეხმარები — თქვა მაჰამადუ დიარამ „რადიო მარკასთან" — „რეალი" პრაქტიკულად ჩემპიონია, რადგან ბოლო ტურში შინ „მალიორკას" ხვდება. ჩემი ქვეყნის ნაკრებს კი ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი აქვს და ვალდებული ვარ, რომ მეც იქ ვიყო."

## ელგერას ჩაიზე ეპატიჟებიან

**„მარკას"** ცნობით, სტამბოლის „ბეშიქთაში" მადრიდის „რეალიდან" ივან ელგერას შეძენას ცდილობს.

ესპანელ მცველს კლუბთან კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება და გახანგრძლივებას არ აპირებს. მისი აგენტი რამდენიმე დღის წინ „ბეშიქთაშის" წარმომადგენლებს შეხვდა.

## BWIN რეალურად

**საბუქმეიკერო** ბიზნესის ერთ-ერთი ლიდერი BWIN მადრიდის „რეალის" სპონსორი გახდა. მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში „სამეფო კლუბის" მაისურას ახალი წარწერა დაამშვენებს.

BWIN სხვა ობიექტებზეც გამოჩნდება, რომლებიც მადრიდულ კლუბს ეკუთვნის.

## ნაპოლი კანავაროსთვის ადრეა

**ფაბიო კანავაროს** „ნაპოლიში" დაბრუნება უნდა, სადაც ოთხი წელი უთამაშია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგას მოიგებს.

მსოფლიოს ჩემპიონს და „ოქროს ბურთის" მფლობელს არ აქვს ეს ევროპული ჯილდო და მადრიდის „რეალში" მისი მოგების შანსი ექნება.

კანავაროს აგენტმა განაცხადა: „ყველამ იცის, რომ ფაბიოს თავისი ქალაქის გუნდში სურს კარიერის დასრულება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია".

## მატრი კალიარიმ ითხოვა

**„მილანის"** ფორვარდი ალესანდრო მატრი მომავალ სეზონს „კალიარიში" გაატარებს. სარდინიულმა კლუბმა მატრის კონტრაქტის ნაწილი გამოისყიდა.

23 წლის ფეხბურთელი წინა სეზონში განათხოვრებული იყო „რიმინიში" და 28 მატჩში 4 გოლი შეაგდო.

## ბარსა ზაფხულში დაიბერტყება

**„დიარიო სპორტის"** ცნობით, ამ ზაფხულს „ბარსელონა" რვა ფეხბურთელის გაშვებას აპირებს.

წამსვლელთა სიაში არიან: ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, სილვინიო, ლილიან ტურამი, რაფაელ მარკესი, ტიაგო მოტა, ედმილსონი, სანტიაგო ესკერო და ეიდურ გუდიონსენი, რომელსაც „მანჩესტერი", „ნიუკასლი" და „ვესტ ჰემი" ეპატიჟებიან.

## ჰარის უნდა ალიუ

**„პორტსმუთის"** მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ „ლიონიდან" ალიუ დიარას ყიდვა უნდა.

„სწორედ ისეთი ნახევარმცველია, რომელიც ჩვენი გუნდის შუახაზს საგრძნობლად გააძლიერებს" — თქვა რედნაპმა.

დიარას ფასი ხუთი მილიონი გირვანქაა.

## მცველი ჩრდილოეთიდან

**„ბლექბერნმა"** ოფიციალურად დაადასტურა, რომ „საუთჰემპტონიდან" იყიდა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მცველი კრის ბერდი, რომლის შეძენასაც „ფულემი" ცდილობდა.

ბერდის სანაცვლოდ „ბლექბერნმა" 2 მილიონ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ვარსკვლავი

რუბრიკის მომდევნო სტუმარია არგენტინელი ხორხე ვალდანო — 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი.



## შეურაცხყოფილი მოკვდავი

**— სინიორ ვალდანო, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობასა და გამარჯვებაზე ალბათ ბავშვობიდან ოცნებობდით...**

— რაც თავი მახსოვს, სწორედ ამაზე ვოცნებობდი, ოღონდ, აქვე ერთ რამესაც გკითხავთ: რა უფრო უცნაურია, მსოფლიოს ჩემპიონობაზე სამი წლისა რომ ოცნებობ თუ ოცდახუთისა? პირადად მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ასაკში ოცნება ამა თუ იმ ცხოვრებისეული მიზნისკენ სვლის საშუალებაა. ყოველთვის ასე იყო ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელმაც აღმასვლებითა და ჩავარდნებით სავსე კარიერა გავიარე. მახსოვს, „ალავესში" რომ ვთამაშობდი და პირველი ლიგაში დარჩენა-არდარჩენის მატჩისთვის ვემზადებოდი, წინა საღამოს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში თამაშზე ვიოცნებე. ერთი შეხედვით, ასეთ დროს ასეთ რამეზე ფიქრი ნამდვილი სიგიჟეა, მაგრამ, ვფიქრობ, პროფესიონალ ფეხბურთელებს სჩვევიათ თავის მწვერვალზე წარმოდგენა. ეს საერთო თვისება უნდა იყოს. დამეთანხმებით, ფეხბურთში მწვერვალთა მწვერვალი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია, აქ გოლის გატანა კი ტორტის წვერზე მარწყვს ჰგავს.

**— ხომ არ აჭარბებთ? ერთხელაც გაიმეორეთ, თუ შეიძლება, რამდენი წლის იყავით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე ოცნება რომ დაიწყეთ?**

— სამი თუ ოთხი წლისა. მართლაც ყოველთვის პროფესიონალ ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი და ერთხელაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ოცნება ამიხდებოდა. მოგვიანებით, ბუნებრივია, ცხოვრებამ თავისი სირთულეები შემახვედრა და ყველაფერი იმაზე გვიან მოხდა, ვიდრე ველოდი, მაგრამ ამბიცია, რომელმაც მთელი კარიერა გამატარებინა, ყოველთვის ჩემში იყო.

**— მეტსახელად „ელ ფილოსოფო", ანუ ფილოსოფოსი რატომ შეგარქვეს?**

— ყოველთვის საფეხბურთო და კულტურულ საზოგადოებათა დამაკავშირებელი ძაფივით ვიყავი. იცით, არგენტინაში კულტურული საზოგადოებიდან საფეხბურთოში გადასასვლელი ხიდი მრავალს გაუვლია, მათ შორის, მწერლებს, მარიო ბენედეტის, ვარგას ლოსას, საბატოს და ოსვალდო სორიანოს. პირიქით, საფეხბურთოდან კულტურულში გადასვლის ინტერესს კი, ვაგლახ, ფეხბურთელები არ იჩენენ. ჰოდა, ვინაიდან იმთავითვე ფიქრი მჩვეოდა, პრესამ „ელ ფილოსოფო" შემარქვა.

**— მსოფლიოს ჩემპიონი თქვენ 1986 წელს გახდით, მაგრამ მანამდე, ოთხი წლით ადრე, ესპანეთში გამართულ მუნდიალზეც მიიღეთ ორ შეხვედრაში მონაწილეობა. რა პრობლემებს წააწყდით ესპანეთში?**

— 1982 წელს პირველ შეხვედრაში ბელგიას შევხვდით. იმ დღეს მე თავიდან სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, მოედანზე კი მას მერე შემიშვეს, რაც მეტოქემ გოლი გაგვიტანა. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი გუნდის წევრის კვალობაზე ცუდად ნამდვილად არ მითამაშია და მწვრთნელებმა მეორე შეხვედრაში, უნგრეთთან, უკვე 11 კაცში მანდეს ადგილი, მაგრამ, საუბედუროდ, კოჭი და მუხლი დავიშავე, რის გამოც დანარჩენ მატჩებში მონაწილეობა ველარ მივიღე. ეს ჩემთვის დიდი დარტყმა იყო, მეგონა, რომ ცხოვრების მთავარი შანსი ხელიდან გავუშვი. მერედა, ჩემპიონატი ტარდებოდა ესპანეთში, ქვეყანაში, სადაც საკლუბო ფეხბურთს ვთამაშობდი. იმ დღეებში ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლის შანსი კიდევ მომეცემოდა.

**— მაშ, ოთხი წლის შემდეგ ოცნებას რომ აიხდენდით, აღარ გეგონათ?**

— არა, ნამდვილად არა. უნგრეთის ნაკრებთან მიღებულმა ტრავმამ გული ისე გამიტეხა, რომ ოპტიმიზმი საერთოდ დაკარგული მქონდა. ერთი ხანი რომ გავიდა, ისევ დავიწყე ნელ-ნელა მომავალსა და კერძოდ, 1986 წელზე ფიქრი, მაგრამ მაშინ იმედი სრულიად დაკარგული მქონდა.

**— და მაინც, იქნებ უფრო დეტალურად შეჩერდეთ 1982 წლის ჩემპიონატზე? ოთხი წლის შემდეგ, მექსიკაში, ამბობდნენ, რომ არგენტინის ნაკრებში ფეხბურთელთა შორის დაპირისპირებები იყო, მაგრამ გუნდი მაინც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. 1982-ში?**

— ესპანეთში ჩვენ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრებისა და 1986 წლის, ანუ მომავალი ჩემპიონის შემადგენლობათა ნაზავი გვყავდა, მაგრამ მომავლის ხალხი ჯერ არ იყო საუკეთესო ფორმაში. მარიო კემპესის დრო უკვე გადიოდა, დიეგო მარადონა კი ჯერ იკვლევდა გზას მწვერვალისკენ. და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, გუნდის წარმატება მარტო სახელებსა და გვარებზე არ არის დამოკიდებული, ბევრი რამ, უბრალოდ, საჭირო დროსა და ადგილას უნდა დალაგდეს. მაგალითად, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება ძალიან ცუდად ჩავატარეთ და მექსიკაში ისე ჩავედით, რომ ჩვენგან დიდ წარმატებას არავინ ელოდა. ამასთან, მართალი ბრძანდებით, გუნდში დაძაბულობა იყო, მაგრამ შეჯიბრი რომ გახურდა, ნაკრები ეშხში შევიდა და თამაშიდან თამაშამდე გაძლიერდა. ასეთი ფერისცვალება ცხოვრებაში აღარ მინახავს. კორეასთან პირველი თამაშის წინ გამარჯვებაში თავადაც კი არ გახლდით დარწმუნებულნი, ბოლო თამაშის წინ კი ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ გერმანიას დავამარცხებდით.

**— ფეხბურთელებს შორის დაძაბულობა რამ მოხსნა?**

— გუნდმა დაგროვებულ პრობლემებზე ბევრი ილაპარაკა. ჩვენს შორის რამდენიმე ფრიად დაბრძენებული ადამიანი იყო, რომელთაც კრება მოიწვიეს და ყველაფრის გარკვევაც ითავეს. იმავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს მოედანზე მიმდინარე ამბებიც. ჩვენ თამაშს თამაშზე ვიგებდით და ესეც თავისას აკეთებდა.

**— პირადად თქვენ ძალიან მობილიზებული ჩანდით. კორეასთანაც სწორედ თქვენ გაიტანეთ პირველი გოლი...**

— მართალი ბრძანდებით. ეს გოლი, როგორც ჩემთვის, ასევე მთლიანად ნაკრებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამ გოლმა მოხსნა დაძაბულობა და წარმატებების გზაზე დაგვაყენა. ჩვენ კვლავ ნამდვილი გუნდის პრინციპით დავიწყეთ მოქმედება. მოკლედ, მაშინდელ არგენტინის ნაკრებში ორი გადამწყვეტი ფაქტორი მოქმედებდა, გუნდი და მარადონა, რომელსაც სულ სხვა სიმაღლეზე შეეძლო ავეყვანეთ.

**— მართალია, რომ მწვრთნელებმა დიეგო მარადონას მთელი დროის სავარჯიშო მინდორზე გატარება აუკრძალეს?**

— დიახ, მართალია. ჩვენ, ფეხბურთელები ბანაკში რომ შევიკრიბებოდით, მარადონას ბეზრდებოდა და მოედანზე გადიოდა ბურთის გასაგორებლად. საერთოდაც, კარლოს ბილარდო ცდილობდა ჩვენი, ფეხბურთელების ენერგია უყაირათოდ არ დაეხარჯა, მით უფრო იმიტომ, რომ მექსიკაში ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლა ვიყავით დაბანაკებულნი. ერთი სიტყვით, ყველაფერი პირიქით იყო. ხშირად, ფეხბურთელებს თამაში გვინდოდა, მწვრთნელები კი გვიკრძალავდნენ.

**— პირველ შეხვედრაში თქვენ ორი გოლი შეაგდეთ. როგორ იმოქმედა ამ გოლებმა ტურნირზე?**

— ამ ორმა გოლმა ისეთ იმტაზე მომიყვანა, რომ მთელი ჩემპიონატის განმავლობაში ფსიქოლოგიური პრობლემა აღარ მქონია. მექსიკაში ახალჩასულს ზღვის დონიდან ასე მაღლა მოხვედრამ ჯანმრთელობის პრობლემები შემიქმნა, მერე ვარჯიშზეც ერთი ლაზათიანად მომხვდა და სულ მოვიჩვარე. კიდევ კარგი, პირველი თამაშისთვის ტრავმა დამიამდა, შემდეგ კი ყველაფერი საკუთარი ძალების შეძენილმა რწმენამ განაპირობა.

**— ჯგუფში მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონებს, იტალიელებს შეხვდით და 1:1 ეთამაშეთ. რა გახსოვთ იმ თამაშიდან?**

— მატჩი ახალდაწყებული იყო, როდესაც საკმაოდ საეჭვო პენალტის გამო ჩამოვრჩით, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება მოვახერხეთ. ეს საკმაოდ ძნელი გასაკეთებელი იყო, მაგრამ მაინც შევძელით. სხვათა შორის, ამ ერთი მატჩის გარდა ყველა მოვიგეთ. მოკლედ, იტალიელებთან ფრე კარგი შედეგი გახლდათ და მას ჩვენზე ცუდად ნამდვილად არ უმოქმედია. მეტსაც გეტყვით, იმ თამაშის მოგება რომ ყოფილიყო საჭირო, მოვიგებდით.

**— მესამე გოლი კი ბულგარელებს გაუტანეთ. ალბათ, ეს იყო ყველაზე იოლი თამაში იმ შეჯიბრში, არა?**

— თამაშის წინ ცოტა ვნერვიულობდით და ეს ბუნებრივია, რადგან მოგების შემთხვევაში ჯგუფში პირველ ადგილზე გავდიოდით, მაგრამ ბურთი რომ გაგორდა, ყველაფერი კარგად აეწყო. ახლა რომ ვფიქრობ, ორ გოლზე მეტის გატანაც შევძელი.

**— ინგლისის ნაკრებთან თამაში კი ყველას კარგად ახსოვს... თუმცა მანამდე იყო რთული მატჩი ურუგვაისთან. რა გახსოვთ იმ სამხრეთამერიკული დერბიდან?**

— ურთულესი მატჩი იყო. თავიდან ურუგვაელებმა ყველა ნიჭიერი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დასვეს, მოედანზე კი ფიზიკურად ძლიერები გამოუშვეს, მაგრამ მათთან თამაშს ადვილად ავუღეთ ალღო და გოლი გავიტანეთ. ეს რომ დაინახა, მეტოქემ ნიჭიერების შემოყვანა დაიწყო და მართლა გაგვირთულა საქმე. ამასობაში, მარადონას გოლი არ ჩაუთვალეს. რომ ჩაეთვალათ, ყველაფერი კარგად აეწყობოდა, მაგრამ, ვაგლახ, მხოლოდ 1:0-ს ვიგებდით და რისკზე წასვლასაც ველარ ვბედავდით, რადგან უკვე პლეი ოფის ეტაპი იყო. მახსოვს, თამაშის მიწურულს გვარიანი ნერვიულობა მოგვიხდა.

**— შემდეგმა მატჩმა კი ინგლისთან გიწიათ. ეს შეხვედრა განსაკუთრებით იმიტომ იყო დაძაბული, რომ ცოტა ხნით ადრე ორმა ქვეყანამ ერთმანეთში იომა. როგორ გაართვით მატჩისწინა დაძაბულობას თავი?**

— ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობდით, მხოლოდ ფეხბურთზე რომ გვეფიქრა, პრესა-ტელევიზია კი ყველა ღონეს ხმარობდა, ვითარება სხვა კალაპოტში რომ გადაეყვანა. მეორე მხრივ, ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომი მართლაც ძალიან ცოტა ხნის დასრულებული იყო და მისი უგულებელყოფა არაფრით გამოდიოდა. გარდა ამისა, არგენტინა ინგლისის წინააღმდეგ საფეხბურთო კლასიკაა და არც ამის გაუთვალისწინებლობა იქნებოდა. როდესაც ერთმანეთს ეს ორი გუნდი ხვდება, ყოველთვის დიდი დაძაბულობა და მოლოდინია, ეს კი, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ამ ორი გუნდის ფეხბურთელებმა კიცოდით. ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ იმ თამაშს, მასზე ჩემი აზრი ასეთია: არგენტინის ნაკრებმა იმ დღეს ყველაზე ცუდად ითამაშა, მარადონას გოლებმა კი მატჩს მითიური აურა შეუქმნეს, ისეთი, როგორსაც ის არ იმსახურებდა.

**— ჯადოსნური მეორე გოლის დროს თქვენ მარადონას გასწვრივ გარბოდით. ალბათ, რა უნიკალურად დაინახეთ ეს ყველაფერი, არა?**

— გამყოლი კამერით გადაღებულ კადრს ჰგავდა. იმ მომენტში მე ვაკეთებდი იმას, რაც ნებისმიერი კარგი თავდამსხმელის ვალია — მარადონას გასწვრივ მივრბოდი, რათა ბოლოს შორეულ ძელთან პასის არჩევანი შემეთავაზებინა. და რაოდენ გასაკვირი იყო ჩემთვის, ისევე როგორც სხვებისთვის, როდესაც თამაშის შემდეგ, გასახდელში დიეგომ მითხრა, პასის გადმოწოდებას ვაპირებდი და ბოლომდე შენს საუკეთესო პოზიციას ვუცდიდი. წარმოგიდგენიათ, იმ ცხოხოდის მსვლელობისას მან თავის აწევა და პარტნიორის პოზიციის შეფასებაც მოასწრო. რა გითხრათ, ეს ჩვენი, უბრალო მოკვდავების ნამდვილი შეურაცხყოფა იყო (იცინის). არა, ხუმრობის გარეშე, ეს იყო გენიალურობის გამოვლენა, ჩვენ გუ-



დიეგო მარადონას ჯადო-გოლს ხორხე ვალდანო მოძრავი კამერასავით ადევნებდა თვალს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიალური წამის ცოცხალი მოწმეები ვიყავით. მას ბოლო წამს მართლა ჩემთვის რომ მოეცა პასი, მე, რა თქმა უნდა, გოლს გავიტანდი, მაგრამ, ამ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიას საუკეთესო გოლი დაეკარგებოდა.

— ნახევარფინალი ბელგიასთან ალბათ ძალიან ტკბილად დაგამახსოვრდათ...

— აბა, რა. მეოთხედფინალში ესპანელებთან ბელგიელების გამარჯვება ისე ვიზეიმეთ, გეგონება, სხვამ კი არა, ჩვენმა გუნდმა მოიგო. ესპანეთის მართლა გვეშინოდა, ვინაიდან ეს გუნდი თამაშიდან თამაშამდე ძლიერდებოდა, ბელგიელებს კი ვუყურებდით და ვხედავდით, რომ თავად, გეგონება, ფინალში გაემარჯვათ, ისე ზეიმობდნენ ნახევარფინალში გასვლას. ამის მიუხედავად, როგორც ნამდვილმა პროფესიონალებმა ბელგიასთან მობილიზებულად ვითამაშეთ და რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით, მარადონამ კი თავისი გენიალურობით კიდევ ერთხელ გაიბრწყინა.

— ფინალში თქვენ მეორე გოლი შეაგდეთ. აგვიღწერეთ, თუ შეიძლება?

— მახსოვს, ყველაფერი ჩვენი საჯარიმოდან დაიწყო, სადაც გერმანელ მცველს, ბრიგელს ვედექი. ჩემსა და ბრიგელს შორის იმ დღეს დიდი ბრძოლა გაიმართა. შემდეგ ჩვენმა მეკარემ ნერი პუმპიდომ ბურთი მე გადმომიგდო. ერთ გერმანელს გავცდი, მაგრამ მეორეს ვეღარ ვაჯობე. მეტოქის საშწუხაროდ, დაკარგული ბურთი მარადონას მიუვიდა. მე დიაგონალურად დავიძარი, მარადონამ კი ნერიო ენრიკეს გაუგდო პასი. ნერიომ მდგომარეობა გამიადვილა, საგოლე პოზიციაზე გამიყვანა, რის შემდეგაც მეტოქის საჯარიმოსთან მივედი და ბურთი კარში მოხერხებულად შევაგდე. გრძნობას, რომელიც მაშინ დამეუფლა, ვერაფერი შეედრება.

— და, ალბათ, ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო, არა?

— რა თქმა უნდა. ადამიანის ცხოვრების საუკეთესო წუთები ხომ მასში ღრმად იბეჭდება. არც კი მჯერა, ოც წელიწადზე მეტი რომ არის გასული.

— თქვენი გოლის შემდეგ გეგონათ, რომ თამაში უკვე მოგებული იყო?

— დიახ. 2:0 რომ გახდა, მახსოვს, ტრიბუნებს ავხედე და ჩემს თავს ვუთხარი: მორჩა, ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ. იმ მომენტში ერთი რამ ვერ გავითვალისწინე, ჩვენი მეტოქე გერმანია იყო, გერმანიას კი დანებება არ სჩვევია. მათ კუთხურიდან ორი ერთმანეთის მსგავსი გოლი გაგვიტანეს და ანგარიში გაქვითეს. აი, ასეთები არიან გერმანელები, მაგრამ ამ მომენტშიც კი, ჩვენ პანიკის მაგვარი არაფერი გვიგრძნია, ხოლო საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე ხორხე ბურუჩაგამ მესამე, გადამწყვეტი გოლი შეაგდო, რაც იმას ნიშნავდა, რომ საფინალო სასტვენის აგონიური ცდა მალე დასრულდებოდა.

— და საფინალო სასტვენის ხმაზე რა გაიფიქრეთ?

— საოცარი გრძნობა დამეუფლა. ნუთუ ის, რაც სხვა ადამიანებს ხვდებათ ხოლმე წილად, მე მხვდა? ეს მართლა მე ვარ?

— თამაშის შემდეგ „აცტეკაზე" რა ხდებოდა?

— დიდებული სანახაობა იყო. ფერები, ბედნიერი ხალხის შეძახილები... აქამდე ვეჭვობდი, რომ ყველაფერი ასე საგანგებოდ იმიტომ ჩამებეჭდა გონებაში, რომ იმ დღეს მე მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, მაგრამ ამასწინათ, კარლ-ჰაინც რუმენიგესთან ერთად ვისადილე, სადაც მან მითხრა, რომ „აცტეკაზე" შექმნილმა გარემომ ის მატჩი მისი ცხოვრების ყველაზე დიდ მოვლენადაც აქცია. ეს უცნაური მოსასმენი იყო, მაგრამ ფაქტია. იმ დღეს სტადიონზე მხოლოდ არგენტინელი ფანები კი არ ისხდნენ, იქ იყვნენ გერმანელები და, რაც მთავარია, მექსიკელები, ყველაზე მეტნი. და ამ ხალხმა ფეხბურთის საერთო ზეიმი მოაწყო.

— შემდეგ ბუენოს აირესში დაბრუნდით...

— ეს კიდევ ერთი საოცრება იყო. პლასა დე მაიოზე საპრეზიდენტო სასახლის, „კასა როსადას" აივნიდან გადახედვა ერთ რამედ ღირდა. ქალაქში სამ მილიონამდე ადამიანი იყო გამოფენილი.

# ნაპოლი და ჯენოა ერთად ავიდნენ

## რა ემუქრებათ გენუელებს?

„იუვენტუსის" გარდა, სერია A-ს იტალიის კიდევ ორი ცნობილი კლუბი დაუბრუნდა — „ნაპოლი" და „ჯენოა". თუმცა გენუელებს ჯერ კიდევ აქვთ სანერვიულო, მათი ხელმძღვანელობა ფინანსურ მაქინაციებშია ეჭვმიტანილი...

ბოლო ტურში „ჯენოამ" „ნაპოლის" უმასპინძლა და მატჩი 0:0 დამთავრდა. ეს შედეგი სტუმრებს აძლევდათ ხელს, რომლებიც მეორე ადგილზე გავიდნენ. თუმცა საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ფრე „ჯენოასაც" ეყო, რადგან „პიაჩენცამ" შინ ვერ დაამარცხა „ტრიესტინა".

„ჯენოა" სერია A-ს 12-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. გენუელებმა ეს 2004-2005 წლების სეზონშიც შეძლეს, მაგრამ „ვენეციასთან" მატჩის ჩაწყობაში ამხილეს, გუნდის პრეზიდენტი ენრიკო პრეციოზი დაადანაშაულეს და „ჯენოას" -3 ქულით C-ში უკრეს თავი.

„როგორც იქნა, დავბრუნდით, ძალიან ბედნიერი ვარ. „პიაჩენცა" — „ტრიესტინას" მატჩის ბოლო 10 წუთს ტელევიზორში ვუყურებდი და ვცდილობდი, პიაჩენცელები როგორღაც დამეთარსა" — თქვა პრეციოზიმ.

გენუელთა ფორვარდი მარკო დი ვაიო: „განსაკუთრებული სეზონი გვქონდა. აქ „მონაკოდან" იანვარში გადმოვედი და მას მერე საქმეები სულ უფრო და უფრო კარგად მიდიოდა. სერია B-ში სათამაშოდ უდიდესი კონცენტრაცია გჭირდება. მიხარია, რომ რთული გზა გავიარეთ და მიზანს მივაღწიეთ".

„ბოლოს და ბოლოს სერია A-ში ვარ! — ამბობს გენუელთა მწვრთნელი ჯანპიერო გასპერინი — ყველაფერი ცუდი უკან დარჩა, ძალიან ბედნიერები ვართ. ვფიქრობ, ჩვენც და „ნაპოლისაც" სერია A-ში პლეიოფების გარეშე გადასვლა გვინდოდა და ამას ვიმსახურებდით კიდეც".

იტალიური პრესის ცნობით, დიდი შანსია, „ჯენოას" ზეიმი ჩაშხამდეს. პრეციოზის ფინანსური საქმეები ისევ ბნელია და ფეხბურთიდან 5 წლით მოკვეთა ემუქრება. ამ შემთხვევაში, ალბათ, „ჯენოაც" ვერ ასცდება ჯარიმას და იქნებ გენუელებს ქულებიც დააკლონ, ან ისევ დააქვეითონ სერია A-დან...

„ნაპოლი" ამგვარი საფრთხის წინაშე არ დგას. კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი პოსტზე მაშინ მივიდა, როცა გუნდი სერია C-ში იყო...

აურელიო დე ლაურენტისი: „ეს დიდი წარმატებაა. ბიჭებს ყოველთვის ვეუბნებოდი, სიმშვიდე შეენარჩუნებინათ და მიზნისკენ სწრაფვა გაეგრძელებინათ. ჩვენ ეს შევძელით".

**გიორგი ძაძაბაძე**

# იუვენტუსი გაზეთში იტალიის ჩემპიონია

ტურინის „იუვენტუსის" გარშემო სატრანსფერო მითქმა-მოთქმა გრძელდება.

გეცოდინებათ, რომ უდინეზელი ვინჩენცო იაკინტას „ბიანკონერიში" გადაბარგება 99 პროცენტით გადაწყვეტილია, იგივე ვითარებაა სერხიო ალმირონის შემთხვევაშიც.

ალმირონი სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. გავრცელებული ცნობით, არგენტინელმა უკვე შეათანხმა „იუვესთან" ოთხწლიანი კონტრაქტი და ხელფასი სეზონში დაახლოებით 1,5 მილიონი ევრო ექნება. ტოსკანური კლუბი კი მის სანაცვლოდ 7-8 მილიონ ევროს და მატეო პაროს კონტრაქტის ნახევარს მიიღებს.

იაკინტა კი გადადის „ბებერ ქალბატონში", მაგრამ იგი დავიდ ტრეზეგეს შემცვლელად არ ითვლება, რადგან ამ ფეხბურთელების სათამაშო სტილი და ამპლუა ცოტათი განსხვავებულია. ასე რომ, „იუვეს", რომელსაც აქამდეც ეძებდა თავდამსხმელს, ახლა ნამდვილად სჭირდება ერთი გამოკვეთილი ფორვარდი. კანდიდატებიც მრავლად არიან...

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ტურინელებმა უკვე შესთავაზეს „აიაქსს" კლაას-იან ჰუნტელაარში 18 მილიონი ევრო და ამ ტრანსფერთანაც ახლოს არიან. ამბობენ, თავად ამსტერდამელთა ნიჭიერმა ფორვარდმა უკვე შეათანხმა პირადი, ოთხწლიანი კონტრაქტი „ბიანკონერისთან", რომლის თანახმადაც სეზონში დაახლოებით 3 მილიონ ევროს მიიღებსო.



სერხიო ალმირონი

„გაძეტა დელო სპორტი" კი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე საინტერესო გამოკითხვას ატარებს. კითხვა ასეთია — თქვენი აზრით, ვინ არის სერია A-ს ფავორიტი 2007-2008 წლების სეზონში?

ჯერაც მიმდინარე გამოკითხვის შედეგები ასეთია: „იუვენტუსი" — 34 პროცენტი; „მილანი" — 27,5; „ინტერი" — 26,7; „რომა" — 3,9, „ფიორენტინა" — 2,7; „ლაციო" — 1,3; სხვა — 3,9.

**გიორგი ძაძაბაძე**

# პაპა პალიუკა: მომეცით შანსი

ჯანლუკა პალიუკას კარიერის დასრულება „ინტერში" სურს, სადაც 1994-1999 წლებში თამაშობდა. 41 წლის მეკარის აზრით, „შავ-ლურჯებმა" მას ერთი შანსი კიდევ უნდა მისცენ.

„სიამოვნებით გავხდებოდი „ინტერის" მეორე მეკარე და ჟულიო სეზარის შემცვლელი — თქვა მეკარემ — ძალიან ბევრი მიზეზი მაქვს გუნდში დასაბრუნებლად, სადაც უამრავი მეგობარი მყავს".

ჯანლუკა პალიუკას რობერტო მანჩინისთან ერთად „სამპდორიაში" სკუდეტო მოუგია, „ინტერში" კი ხუთი სეზონი ძირითადი მეკარე იყო, სანამ ფრანჩესკო ტოლდო ადგილს წაართმევდა. გასულ სეზონში „ასკოლის" კარს იცავდა, რომელიც სერია A-დან გავარდა.

# კორინის რომა უხარია

„პალერმოს" ნახევარმცველს ეუჯენიო კორინის ამ თვეში კონტრაქტი უმთავრდება, რომელსაც აღარ გაუხანგრძლივებენ.

იტალიური მედიის ცნობით, 36 წლის ფეხბურთელს „რომა" ეპატიჟება და კორინიც ამით გახარებულია: „ძალიან მესიამოვნა „რომას" ამბავი. ლუჩანო სპალეტის გუნდში თამაში დიდი პატივია".

კორინის გადაბირება „სიენას", „ნაპოლის" და „ტორინოს" უნდათ.

# ლუკარელი დარჩება

კრისტიანო ლუკარელიმ დაადასტურა, რომ „ლივორნოში" რჩება, რადგან სხვა კლუბებისგან მიწვევა არ მიუღია. გუნდის კაპიტანი თითქოს წასვლას აპირებდა იმის გამო, რომ პრეზიდენტთან და ფანებთან ურთიერთობა წაუხდა, მაგრამ აღარ მიდის.

„შვებულებაში მივდივარ და ფეხბურთზე საუბარი 8 ივლისამდე არ მინდა. „ლივორნოში" ვრჩები" — თქვა ლუკარელიმ.

# ტესერი მანტოვაში

სერია B-ს „მანტოვას" მწვრთნელად ატილიო ტესერი დანიშნეს. მან დომენიკო დი კარლო შეცვალა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დი კარლომ ოთხი სეზონი გაატარა „მანტოვაში" და გუნდი სერია C2-დან B-ში აიყვანა.

49 წლის ტესერს „ტრიესტინაში", „კალიარიში" და „ასკოლიში" უმუშავია.

# არიგონი B-ში

„ბოლონიას" თავკაცი დანიელე არიგონი გახდა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბიდან აპრილში რენცო ულივიერი გაათავისუფლეს და დროებით ლუკა ჩეკონი მწვრთნელობდა, რომელმაც „ბოლონია" სერია B-ში მეშვიდე ადგილზე გაიყვანა.

არიგონის „მესინაში", „პალერმოში", „კალიარიში", „ტორინოში" და „ლივორნოში" უმუშავია.

**მაშა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 15 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 263 | სპეცია-ვერონა | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 13 | ალავესი-პონფერადინა | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 20:30 | 14 | ალბასეტე-ლორკა | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 19:30 | 17 | კასტელონი-მალაგა | 1.95 | 3.00 | 3.75 | 1.18 | 1.28 | 1.66 |
| 20:30 | 18 | სპორტინგი-სერესი | 2.20 | 3.00 | 3.10 | 1.26 | 1.28 | 1.52 |
| 20:30 | 19 | ჰერკულესი-ელჩე | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 21:30 | 20 | ლას პალმასი-ეხიდო | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 20:30 | 21 | მურსია-ტენერიფე | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| 22:30 | 22 | ნუმანსია-ვალიადოლიდი | 2.50 | 3.10 | 2.55 | 1.38 | 1.26 | 1.39 |
| 21:30 | 23 | სალამანკა-სოუდადი | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 15 | ალმერია-ვეცინდარიო | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 20:00 | 16 | კადისი-რეალი(ბ) | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| | | ბელგია. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 24 | ანტვერპენი-კორტრაიკი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 22:30 | 25 | მეხელენი-ლიერსი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 16 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 26 | ცსკა მ-ტომსკი | 1.35 | 4.10 | 7.00 | 1.01 | 1.13 | 2.58 |
| 12:00 | 27 | ენერგია-ლოკომოტივი მ | 3.10 | 2.70 | 2.35 | 1.44 | 1.33 | 1.25 |
| 16:00 | 28 | ხიმკი-ზენიტი | 3.10 | 2.90 | 2.25 | 1.49 | 1.30 | 1.26 |
| 16:30 | 29 | რუბინი-კრილია | 2.30 | 2.70 | 3.25 | 1.24 | 1.34 | 1.47 |
| 16:00 | 30 | სატურნი-როსტოვი | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 18:00 | 33 | ნალჩიკი-ამკარი | 2.05 | 2.80 | 3.80 | 1.18 | 1.33 | 1.61 |
| | | 17 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 31 | მოსკოვი-სპარტაკი მ | 2.95 | 2.70 | 2.45 | 1.40 | 1.33 | 1.28 |
| 18:00 | 32 | ყუბანი-დინამო მ | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 34 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |
| 21:00 | 35 | აკადემისკი-ფრემადი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | გაის-ელფსბორგი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 21:00 | 65 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 74 | ენჩიოპინგი-მიალბი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |
| 21:00 | 75 | ჰეკენი-ლიუნგსკილე | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 83 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 84 | ჰაკა-ტამპერე | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 19:30 | 85 | იარო-ვიიკინგიტი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:30 | 86 | კტპ-ვპს | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 19:30 | 87 | ტურკუ-ჰონკა | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 253 | ვალური-ვიკინგური | 1.90 | 3.30 | 3.75 | 1.20 | 1.26 | 1.75 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 254 | ფილკირი-კოპავოგური | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 23:15 | 255 | კეფლავიკი-ფრამი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 23:45 | 256 | რეიკიავიკი-ჰაფნაფიორდური | 5.00 | 3.50 | 1.55 | 2.05 | 1.18 | 1.07 |
| 23:15 | 257 | ბრეიდაბლიკი-აკრანესი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 120 | ბოტაფოგო-ვასკუ და გამა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ). 13 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 214 | კუბა-ჰონდურასი | 4.40 | 3.30 | 1.70 | 1.88 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 215 | მექსიკა-პანამა | 1.37 | 4.00 | 7.50 | 1.02 | 1.15 | 2.60 |
| | | ევროპის ჩემპიონატი(21) | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 22:45 | 144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 145 | ჩეხეთი (21)-სერბეთი(21) | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 22:45 | 146 | ინგლისი (21)-იტალია(21) | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| | | ნორვეგია. თასი. 13 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 265 | ალტა-სტეინკიერი | 1.30 | 5.70 | 6.20 | 1.05 | 1.07 | 2.96 |
| 20:00 | 266 | ასკოი-ბრინი | 8.00 | 5.50 | 1.20 | 3.25 | 1.04 | 1.00 |
| 20:00 | 267 | ბაერამი-ჰამარი | 7.70 | 5.90 | 1.20 | 3.34 | 1.03 | 1.00 |
| 20:00 | 268 | ფლეკეროი-ჰაუგესუნდი | 4.50 | 4.30 | 1.50 | 2.19 | 1.12 | 1.11 |
| 20:00 | 269 | ფოლო-კორსვოლი | 1.50 | 4.50 | 4.50 | 1.12 | 1.12 | 2.25 |
| 20:00 | 270 | გრორუდდალენი-ნოტოდენი | 3.45 | 4.30 | 1.70 | 1.91 | 1.13 | 1.21 |
| 20:00 | 271 | ჰიონეფოსი-ოსი | 1.25 | 5.50 | 7.50 | 1.01 | 1.07 | 3.17 |
| 20:00 | 272 | კონგსვინგერი-პორს გრენლანდი | 1.32 | 5.30 | 6.00 | 1.05 | 1.08 | 2.81 |
| 20:00 | 273 | კოპერვიკი-მანდალი | 2.90 | 4.20 | 1.85 | 1.71 | 1.12 | 1.28 |
| 20:00 | 274 | კრისტიანსუნდი-მანგლერუდი | 2.00 | 4.10 | 2.60 | 1.34 | 1.13 | 1.59 |
| 20:00 | 275 | ლოვ ჰამი-ესეინი | 1.15 | 6.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 4.08 |
| 20:00 | 276 | რომენი-მოსი | 12.00 | 6.50 | 1.12 | 4.21 | 1.02 | 1.00 |
| 20:00 | 277 | ტრომსდალენი-ბიესენი | 1.32 | 5.30 | 6.20 | 1.05 | 1.08 | 2.85 |
| | | შვედეთი. თასი. 13 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 151 | ვესბი-დეგერფორსი | 2.30 | 3.30 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 155 | პამარბი-ნორჩიოპინგი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 170 | ბოკა ხუნიორსი-გრემიო | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.55 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 1.96 |
| 10035 | აკადემისკი-ფრემადი | 2.45 | 2.00 | 3.60 | 1.10 | 1.45 | 1.28 |
| 10064 | გაის-ელფსბორგი | 4.15 | 2.10 | 2.35 | 1.39 | 1.50 | 1.10 |
| 10083 | მიუპა-მარიეჰამნი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 3.35 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10214 | კუბა-ჰონდურასი | 4.80 | 2.10 | 2.15 | 1.46 | 1.48 | 1.06 |
| 10215 | მექსიკა-პანამა | 1.65 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.33 | 1.84 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11035 | აკადემისკი-ფრემადი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11064 | გაის-ელფსბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11083 | მიუპა-მარიეჰამნი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11214 | კუბა-ჰონდურასი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11215 | მექსიკა-პანამა | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 2.00 | 1.60 |
| 12035 | აკადემისკი-ფრემადი | 2.00 | 1.60 |
| 12064 | გაის-ელფსბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12083 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.70 | 1.90 |
| 12143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 1.60 | 2.00 |
| 12144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 1.60 | 2.00 |
| 12214 | კუბა-ჰონდურასი | 1.90 | 1.70 |
| 12215 | მექსიკა-პანამა | 2.00 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13064 | გაის-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.90 | 1.70 |
| 13143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 1.90 | 1.70 |
| 13144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 1.90 | 1.70 |
| 13214 | კუბა-ჰონდურასი | 1.70 | 1.90 |
| 13215 | მექსიკა-პანამა | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.08 | 2.90 |
| 14035 | აკადემისკი-ფრემადი | 1.75 | 2.10 |
| 14064 | გაის-ელფსბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14083 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.45 | 2.40 |
| 14143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 2.00 | 1.80 |
| 14144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 1.80 | 2.00 |
| 14214 | კუბა-ჰონდურასი | 2.40 | 1.45 |
| 14215 | მექსიკა-პანამა | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15035 | აკადემისკი-ფრემადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | გაის-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | მიუპა-მარიეჰამნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15214 | კუბა-ჰონდურასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15215 | მექსიკა-პანამა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.05 | 5.70 |
| 16035 | აკადემისკი-ფრემადი | 1.45 | 2.45 |
| 16064 | გაის-ელფსბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16083 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.25 | 3.40 |
| 16143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 2.05 | 1.65 |
| 16144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 1.62 | 2.05 |
| 16214 | კუბა-ჰონდურასი | 3.00 | 1.30 |
| 16215 | მექსიკა-პანამა | 1.10 | 5.50 |

### გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17034 | ორჰუსი-იოლსტიკე | 1.85 | 1.95 |
| 17035 | აკადემისკი-ფრემადი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | გაის-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | მიუპა-მარიეჰამნი | 1.85 | 1.95 |
| 17143 | ისრაელი (21)-ბელგია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17144 | ჰოლანდია(21)-პორტუგალია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17214 | კუბა-ჰონდურასი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | მექსიკა-პანამა | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



# ორი კარგი ამბავი

## უკრაინაში ვერცხლი მოჩანს, საქართველოში აუზი

დღეს საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები უკრაინაში გაემგზავრება და იქაური ღია ჩემპიონატის ბოლო, მე-6 ტურის მატჩებში მიიღებს მონაწილეობას. ქართველები პირველ ადგილზე მყოფ „მარიუპოლ 1"-ს ოთხი ქულით ჩამორჩებიან და დამენივეთი უსწრებენ მდევარ ლვოვის „დინამოს". ბოლო ტურში ჩვენებს ექვსი თამაშის ჩატარება უწევთ და შანსი აქვთ, რომ უკრაინიდან ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ. მატჩებს კი ამ თანმიმდევრობით გამართავენ — ხარკოვის „დინამო", სევასტოპოლის ნაკრები, ლვოვის „დინამო", „მაიუპოლი-1", „მაიუპოლი-2" და ბელარუსის ნაკრები.

გუნდის ნაწილი ამ დრომდე ტექნიკური უნივერსიტეტის აუზში ვარჯიშობდა, ლეგიონერები კი უკრაინაში შეუერთდებიან დანარჩენებს. ნაკრების მზადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ მოგვითხრო

— ბიჭები ნორმალურად არიან მომზადებულნი გადამწყვეტი თამაშებისთვის. ერთი პრობლემა ისაა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის აუზი სტანდარტული არ არის და „მეტი კაცის" კომბინაციის დამუშავება გვიჭირს. სრული შემადგენლობა არც ამჯერად გვეყოლება, თუმცა წინა ტურთან შედარებით, უკეთესი სიტუაციაა. მაშინ თუ 9 კაცი გვყავდა, ახლა 13-ს წავიყვანთ. ერთი ეგ არის, რომ გალაკტიონ ლაითაძის ჩამოსვლა ცოტა ფერხდება, მას სავიზო პრობლემები აქვს. მაგრამ იმედი მაქვს, რომ მოახერხებს და უკრაინაში შემოგვიერთდება. ის გუნდისთვის დიდი ძალაა.

გადაწყვეტილია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ილია ბუტიკაშვილი, სანდრო ნამორაძე, სანდრო რუსიშვილი და ირაკლი კუტალაძე ვერ დაგვეხმარებიან. დანარჩენები — ზურაბ რურუა, ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ნოდარ რაფავა, მიხეილ ბალათურია, კონსტანტინე გეგელაშვილი, დავით ბაქრაძე, პაელე ჯაფარიძე, გიორგი ჯოხაძე და კონსტანტინე გიორგაძე სრულ მზადყოფნაში არიან და საბრძოლველად ემზადებიან.

— რამდენად არის იმის შანსი, რომ მეორე ადგილი შევინარჩუნოთ და ვერცხლის მედლებს დავეუფლოთ?

— ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მედლებით დავბრუნდეთ, თუმცა წარმატების მიღწევა მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. მსაჯთა ფაქტორი უმნიშვნელოვანესი იქნება. მათმა ერთმა არასწორმა გადაწყვეტილებამ შეიძლება მედლები დაგვაკარგვინოს. ვნახოთ, იმედიანად მივდივართ და...

— ახლახან თქვენ და საწყლოსნო ფედერაციის ხელმძღვანელობა კულტურისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილს შეხვდით და წყალბურთის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეთ. ამაზე რას გვეტყვით?

— ძალიან კმაყოფილი ვარ ამ შეხვედრით. წყალბურთის განვითარების კონკრეტული გეგმა დაისახა. პრიორიტეტი ბავშვთა წყალბურთისთვის მიხედვა, ჩემპიონატის ჩატარება, ნაკრები და აუზების მშენებლობაა. მინისტრი დაგვპირდა, რომ 2008 წელს თბილისში სამი აუზი იქნება. ყველაფერი ეს კი უნდა დაგვირგვინდეს იმით, რომ 2011 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავემგზავროთ.

ამ საუბრის შემდეგ იმედიანად ვარ და მჯერა, წყალბურთის საქმეები კარგად წარიმართება. აქვე მადლობა ქალაქის სპორტის საქალაქო სამსახურს იმისთვის, რომ აუზზე ვარჯიშისთვის ფულს არ გვახდევინებენ.

— უკრაინიდან 20 ივნისს ჩამოდიხართ და ნოემბრამდე აღარ გიწევთ თამაში. ამ დროის მანძილზე რა გეგმები გაქვთ?

— თუ მოგვეცა საშუალება, აგვისტოს შუა რიცხვებში სევასტოპოლში „ადმირალის თასზე" გამოვალთ. ეს ტურნირი საერთაშორისო სტატუსს ატარებს და მასში ბევრი ძლიერი ნაკრები გამოვა. იქ გამგზავრება ძალიან წაგვადგება. ვნახოთ, თუ დაგვაფინანსებენ...

სექტემბრის 22-25-ში კი ბელგია „ლენას" (ევროპის ფედერაცია) კონგრესს მასპინძლობს, რომელშიც, წესით, ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

იქ გამგზავრება აუცილებელია, რადგან წლის კალენდარი უნდა შედგეს. ბელგიაში წასვლა იმის წინაპირობა იქნება, რომ რამდენიმე ტურნირზე მაინც გაგვიშვებენ. იმედი მაქვს, კონგრესს არ გამოვაკლდებით.

**ლეჟსო მაისურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზი

**საქართველოს** კადეტთა ნაკრები 20-30 ივლისს ბერძნულ კრეტაზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ტურნირში 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომელთაგან 2 უარესი B დივიზიონში დაქვეითდება. ქართველ 16-წლამდელთა მეტოქეები ჯგუფში იქნებიან: იტალია, ესპანეთი და სლოვენია. შემდეგ ეტაპზე 3 გუნდი გავა, ბოლოადგილოსანი კი სხვა უიღბლოებთან ერთად B დივიზიონში დასარჩენად იბრძოლებს.

კადეტები უკვე შეუდგნენ მზადებას — 6 ივნისიდან ისინი თბილისის ბავშვთა კალათბურთის აკადემიის დარბაზში ვარჯიშობენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელია მიხეილ კობეშავიძე, ასისტენტი გია კაზანჯიანი.

15-27 ივნისს კადეტები თელავში გაივლიან შეკრებას, რის შემდეგაც თურქულ ტრაბზონში შავი ზღვის თამაშებზე გაემგზავრებიან. ტურნირი 1-დან 9 ივლისამდე გასტანს და მასში 1989 წელს დაბადებულებით დაკომპლექტებული ამ ქვეყნის ნაკრებები ითამაშებენ: თურქეთი, საბერძნეთი, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი და აზერბაიჯანი.

ჩვენი კადეტების შემადგენლობა: *ტატო თავართქილაძე (აკადემია), გიორგი ვაშაყმაძე (მართვე), თორნიკე შენგელია (მართვე), გიორგი ელანიძე (თსუ), გიორგი გლოველი (მართვე), გივი ბაქრაძე (კონსტანტა), მერაბ ბოქოლიშვილი (აკადემია), ბექა ჩიკვილაძე (თსუ), აკაკი დვალიშვილი (აზოტი), ირაკლი მაღლაკელიძე (მართვე), დავით იოსელიანი (მართვე), ლევან ზულაბერიძე (აკადემია), გიორგი ხეთაგური (აკადემია) და ლუკა ჭოხონელიძე (მართვე).*

კადეტთა ნაკრების მოსამზადებელი სამასმედიო გაშუქების გრაფიკი:

29 ივნისი — შავი ზღვის თამაშებზე გამგზავრებამდე ბრიფინგი და გუნდის პრეზენტაცია (კაფე „მსოფლიო სპორტში")

12 ივლისი — შავი ზღვის თამაშებიდან ჩამოსვლის მერე ღია ვარჯიში (აკადემიაში)

17 ივლისი — ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ბრიფინგი (კაფე „მსოფლიოს სპორტში").

# საქართველო — ფინეთი: ერთი დღის დაგვიანებით

**როგორც** კალათბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის 1 სექტემბერს გასამართი მატჩი საქართველოსა და ფინეთის ნაკრებთა შორის, ამ ქვეყნების კალათბურთის ფედერაციათა შეთანხმებით, 2 სექტემბერს შედგება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს
სახალხო ბანკის გენერალურ დირექტორს,
გიორგი გოგუაძეს მამის,
**ვახტანგ გოგუაძის**
გარდაცვალების გამო

# დარჩება „სიეტლი" სიეტლში?




**ნბა-ს** კომისარი დევიდ შტერნი იმედოვნებს, რომ „სიეტლ სუპერსონიკსს" არ მოუწევს ქალაქის გამოცვლა, რის შესახებაც კარგა ხანია, ლაპარაკი მიმდინარეობს: „მჯერა, რომ გუნდის მფლობელი კლაი ბენეტი გამონახავს იმის საშუალებას, რომ „ზებგერითები" სიეტლში დარჩნენ".

ბენეტი ცდილობს, რომ სიეტლის მუნიციპალიტეტი ახალი დარბაზის აშენებაში დაიხმაროს, რომლის ღირებულებაც 280 მილიონი დოლარია. თუ ქალაქის თავები ბენეტს ხელს არ გაუმართავენ, გუნდის მფლობელი იძულებული იქნება, სხვაგან გადაბარგდეს.

# ფინიქსს მერიონი აღარ სურს

**როგორც** ერთ-ერთმა ბოსტონურმა გაზეთმა დაწერა, „ფინიქს სანზი" შონ მერიონის გუნდში გაჩერებას აღარ აპირებს. ამის ძირითადი მიზეზი მოთამაშის დიდი ხელფასია. მერიონის გაშვების შემთხვევაში არიზონელთა სახელფასო ფონდი გვარიანად შემსუბუქდება. სავარაუდო სატრანსფერო ვარიანტიც ცნობილია: მერიონს ფინიქსელები „ბოსტონში" გაუშვებენ და სანაცვლოდ თავდამსხმელ თეო რეთლიფსა და მომავალ დრაფტზე არჩევანის უფლებას მიიღებენ.



# მაკაბი ნიუ იორკში

**ისრაელის** უცვლელი ჩემპიონი და ევროლიგის ერთ-ერთი წამყვანი გუნდი თელ-ავივის „მაკაბი" მომავალ შემოდგომაზე ნიუ იორკში ჩავა და იქაურ „ნიქსს" ამხანაგურად გაეჯიბრება. ეს არ იქნება ებრაელთა პირველი სპარინგი ნბა-ს გუნდთან. 2005-06 წლებში „მაკაბი" უკვე იყო ოკეანგაღმა და „ტორონტო" რეპტორზს" მოგებ-წაგება გაუცვალა.

# ჩემი ბილაფსი ჩემთან



**„დეტროიტის"** პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა განაცხადა, რომ არ აპირებს ჩონსი ბილაფსის დაკარგვას და მის შესანარჩუნებლად მზადაა, დიდი ფული გადაიხადოს. ბილაფსმა ამას წინათ განაცხადა, რომ „დენვერში" სურს გადასვლა, მაგრამ „დეტროიტს" ამის გაგონება არ უნდა. „ჩონსი ჩვენთვის ნომერი პირველი მოთამაშეა და ახლა იმაზე ვფიქრობთ, რომ მას ყველანაირი პირობა შევუქმნათ და გუნდში დავტოვოთ" — განაცხადა ჯო დუმარსმა.

დეტროიტელები ბილაფსს 4-წლიან კონტრაქტს შესთავაზებენ, რომლის მთლიანი ღირებულებაც 52 მილიონი დოლარი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანო, სიყვარულის კაცი



სიყვარული ყველას სწყურია. ალბათ არ არსებობს ადამიანი, დღემდე აუხსნელ ამ ფენომენზე რომ არ ოცნებობდეს, მაგრამ ღმერთმა ყველას არ მისცა ამის ნიჭი. განგება თავად ანაწილებს, შესაძლოა, ზევიდან უკეთ ჩანს — ზოგისთვის არაფერს გაიმეტებს, სხვას ბოლომდე დააბერტყავს თავის მადლიან კალთას. ჯანო ბაგრატიონი უფლისგან დალოცვილია. ყმაწვილკაცობაში წარმატებით გამოდიოდა ქართულ ესტრადაზე; სპორტში — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა; მოგვიანებით ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გახდა;საქართველოს პარლამენტის წევრიც იყო, თუმცა მთავარი სხვა რამაა — ჯანოს სიყვარულის დიდი ნიჭი აქვს. ბატონ ჯანოს თითქმის ოცდაათი წელია ვიცნობ და ჯერ არ მინახავს მისგან განაწყენებული ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეფეთა დიდებული გვარის — ბაგრატიონის პირდაპირი შთამომავალია, ქედმაღლურად არავისთვის გადმოუხედავს, პირიქით, მეგობარს თუ უცხოს, ყველას მხარში უდგას. ბატონ ჯანოსთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნოა. ახლაც, ჭიქა კონიაკს მივუსხედით და კითხვა-პასუხიც თავისთავად აეწყო

**— ბატონო ჯანო, ბაგრატიონის გვარი უნებურად თავადის, მამულიშვილის, დინჯი დიდგვაროვანის ასოციაციას იწვევს, თქვენ კი ბურთაობა და სპორტი აირჩიეთ ცხოვრებაში. რა იყო ამის მიზეზი?**

— მე ისეთ ოჯახში დავიბადე, წესით, ხელოვნებას უნდა გავყოლოდი: მამა — დიდი ჯანო ბაგრატიონი კარგა ხნის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი იყო. მეც მოცეკვავე მინდოდა გამოვსულიყავი, მაგრამ მამა მიშლიდა — არ უნდოდა, რომ მის შვილსაც იგივე სიმწარე ენახა ცხოვრებაში, რაც ამ სფეროში მოღვაწეობის დროს თავად შეხვდა. დიდი ჯანოს ოცნება მოცეკვავეთა ანსამბლის დაარსება იყო, მაგრამ ზუსტად იმ პერიოდში ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ანსამბლი. ბუნებრივია, ორი ერთნაირი სტილის საცეკვაო სკოლა ვერ იარსებებდა. მამა ნიჭიერი კაცი იყო, სხვა გზა აირჩია და 1946 წელს საქართველოში პირველი ჯაზი შექმნა. აქაც ხელს უშლიდნენ, დევნიდნენ, რადგან იმ პერიოდში ჯაზი დასავლურ, ანტისაბჭოურ მუსიკად ითვლებოდა, თუმცა ეს მიმდინარეობა სტუდენტებს შორის მაინც თანდათან იკიდებდა ფეხს. საბოლოოდ, არაპროფესიონალი მუსიკოსებისაგან შეკრიბა ანსამბლი და იმავე წლის ბოლოს თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ქართული ჯაზის პირველი კონცერტი გაიმართა. სხვათა შორის, დიდმა ჯანომ სწორედ მაშინ შეასრულა სიმღერა — „ყვავილების ქვეყანა“. ასე რომ, მამის კვალს ვერ გავყევი, თუმცა სიმღერით, მოყვარულის დონეზე, მეც კარგად ვმღერი.

**— სპორტით თქვენს გატაცებას ოჯახში როგორ შეხვდნენ?**

— თავიდან კალათბურთს ვთამაშობდი. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, სადაც კალათბურთი ძალიან პოპულარული იყო. ჯერ პიონერთა სასახლეში თამარ გეგელაშვილის სექციაში დავდიოდი, ხოლო შემდეგ მიხეილ კეკელიძემ ამიყვანა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში. როგორც ჩანს, ურიგოდ არ ვთამაშობდი. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, როგორც პერსპექტიული კალათბურთელი, სპორტსმენების სიით ჩავირიცხე. აქ კვლავ ძია მიშა დამხვდა, რომელიც ინსტიტუტის მთავარი გუნდის მწვრთნელი იყო. იგი კარგად მიცნობდა და მიმიწვია კიდეც თავისთან, მაგრამ სწორედ მაშინ სპიის გუნდი საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა, იქ კი უკვე სხვა დონე იყო საჭირო. ოსტატობა აღარ მეყო და მეორე გუნდში დავრჩი.

**— გამიგონია, პირველი ხელბურთელები ყოფილი კალათბურთელები იყვნენო?**

— მართალია. როგორღაც ერთ-ერთ ვარჯიშზე დარბაზში შემოვიდნენ თბილისის სპორტკომიტეტის სპორტთამაშობათა განყოფილების გამგე გიორგი შარაშიძე — „კრომკა“ და ხელბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, ვინმე კუდრიავცევი. როგორც გაირკვა, მოსკოველი ჩინოვნიკი ამიერკავკასიასა და შუა აზიაში მოგზაურობდა სპორტის ახალი სახეობის — ხელბურთის პოპულარიზაციის მიზნით. სწორედ მან შემოგვთავაზა მოგვესინჯა ჩვენი შესაძლებლობები ხელბურთში. მაშინ ხელბურთს ფეხბურთის სტადიონზე თამაშობდნენ.

პირველებმა იდეა „ფარჩომ“ — თამაზ ანთაძემ და მე ავიტაცეთ. ჩეხური და გერმანული ჟურნალებიდან ვიცოდით კიდეც ამ სახეობის შესახებ. სხვებიც აგვყვნენ — ლევან ლოლუა, კოტე ხატისკაცი, ბესო შარაშიძე...

დავიწყეთ ვარჯიში, მაგრამ მწვრთნელი არ გვყავდა. საორგანიზაციო საკითხებს „ფარჩო“ აგვარებდა მწვრთნელად კი ისევ „კრომკა“ მოვიწვიეთ, რომელიც შემდგომ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩვენს გუნდს.

პირველი საჩვენებელი შეხვედრა 1957 წლის გაზაფხულზე თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საფეხბურთო მატჩის შესვენების დროს გავმართეთ, თუმცა მაშინ ჩვენს თამაშს დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია.

სამაგიეროდ, გულშემატკივართა სიმპათიები სრულიად მოულოდნელად მოგვიანებით დავიმსახურეთ, როდესაც ხელბურთმა სტადიონიდან დარბაზში გადაინაცვლა და თერთმეტის ნაცვლად თითოეულ გუნდს მოედანზე შვიდი ხელბურთელი გამოჰყავდა. 7-7-ზე თამაში ჩვენთვის უფრო საინტერესო გამოდგა.

1961 წლის 12 მაისს თბილისში დანიშნული იყო რესპუბლიკის პარტაქტიკის კრება, რომელსაც უნდა დასწრებოდა სსრკ ცკ-ის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი. იმ პერიოდში დასასრულს უახლოვდებოდა თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობა, მაგრამ კრებისათვის ვერ ესწრებოდა, ამიტომაც თბილისის ქალაქკომის პირველმა მდივანმა გიორგი გეგეშიძემ ფეხზე დააყენა ყველა, არქიტექტორიდან დაწყებული, რიგითი მუშით დამთავრებული და სპორტის სასახლეც დასრულებული სახით დაახვედრეს ხრუშჩოვს.

პარტაქტივი კი გაიმართა, მაგრამ თბილისელებს კრებაზე მეტად ამ უნიკალური ნაგებობის ნახვა აინტერესებდათ.

მაშინ გონივრულად გათვალა ჩვენმა მწვრთნელმა გიორგი შარაშიძემ. საქართველოს სპორკომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი სიხარულიძის მხარდაჭერით თბილისში უნგრეთის ეროვნული ნაკრები ჩამოიყვანა. 17 და 18 მაისს მათთან ორი ამხანაგური მატჩი გავმართეთ.

წარმოიდგინეთ, თბილისელები სპორტის სასახლეში შემოდიან სასახლის დასათვალიერებლად და ამ დროს ჯემალ ცერცვაძე შვიდმეტრიან საჯარიმოს ურტყამს. ჯემალმა მოიქნია ხელი, მაგრამ ბურთი ხელიდან არ გაუშვა. უნგრელების მეკარე ისე მძლავრად გადახტა, რომ თავით ძელს შეენარცხა, ცერცვაძემ კი ცარიელ კარში გადააგდო ბურთი. ამის შემყურე დარბაზი აღფრთოვანებას არ მალავდა — ეს ჩვენი აღიარება იყო. ის მატჩი 17:15 მოვიგეთ. გავიმარჯვეთ მეორე დღესაც — 14:13.

**— სსრკ-ის პირველი ჩემპიონატი ხელბურთში 1962 წელს კაუნასში ჩატარდა. ოქროს მედლები და პრესტიჟული თასიც თბილისის „ბურევესტნიკმა“ მოიპოვა, თუმცა თქვენ ეს ოქრო არ გერგოთ, რატომ?**

— საკავშირო ჩემპიონატის წინ მძიმე ტრავმა მივიღე, მენისკი დამიშავდა. მართალია, კაუნასში მეც ვიყავი და მთავარ მწვრთნელს ვეხმარებოდი კიდეც მატჩების მსვლელობისას, მაგრამ თამაშით არ მითამაშია. ჩვენები ჩემპიონები გახდნენ, მე კი თვალები ცრემლებით მქონდა სავსე. ეს სიხარულისა და მწუხარების ცრემლები იყო — აღტაცებისა, რადგან საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონები ქართველები გავხდით, გულდაწყვეტის კი იმიტომ, რომ მე არ მერგო ეს მედალი.

სამაგიეროდ, ორი წლის შემდეგ თბილისის „ბურევესტნიკმა“ კვლავ გაიმარჯვა საკავშირო ჩემპიონატში და ამჯერად ძირითად შემადგენლობაში ვთამაშობდი. ასე რომ, ოქროს მედალი მაინც მოვიპოვე.

**— ბატონო ჯანო, ქართველები თავმომწონე ხალხი ვართ. თქვენი გვარიშვილობით არასდროს გისარგებლიათ?**

— თუ დამიჯერებთ, არა. ჩვენ სხვა პერიოდში და სხვანაირად ვიზრდებოდით. მამა ბაგრატიონობის გამო იჩაგრებოდა კიდეც, სულ ბარიერების გადალახვაში იყო. 30-იან, 40-იან წლებში ეს გვარი სხვანაირად ჟღერდა და არც უცხოეთში უშვებდნენ. თუმცა სიმართლე გითხრათ, ჩემ მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობას ვგრძნობდი იმ პიროვნებებისგან, ვისთანაც ურთიერთობები მქონდა. სხვათა შორის, უცხოეთშიც თავისუფლად დავდიოდი. ეს მამასაც უკვირდა. ერთხელ დედაჩემს ისიც უთხრა — ეს ბიჭი კგბ-ს აგენტი ხომ არ არისო?!

**— სპორტში მიღწეული სოლიდური შედეგების გარდა, ესტრადაზეც წარმატებით გამოდიოდით. ალბათ, გოგონებში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდით?**

— არ დავმალავ, გოგონების ყურადღება არ მაკლდა. საერთოდ, ძალიან აქტიური ვიყავი, სკოლაში „ფიზორგასაც“ კი მეძახდნენ. ინსტიტუტში სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამოვდიოდი. ერთხელ ზურაბ სოტკილავას წინააღმდეგ ვითამაშე ფეხბურთი. ზურაბი კარგად თამაშობდა, მაგრამ მე, რომ იტყვიან, მივეწებე და არ მოვშორდი. ბოლოს გაბრაზებული მომიტრიალდა და მომაძახა: — კაცო, შენ სხვა საქმე არ გაქვს, თავი დამანებე?! გოლი მაინც გაგვიტანა და მოგვიგეს კიდეც.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრშიც წარმატებით გამოვდიოდი. კონცერტებსა და შეჯიბრებებზე მაყურებელი თუ გულშემატკივრები ყოველთვის მყავდა, მაგრამ გოგონებთან ვიმორცხვებდი. არა, მათთან მეგობრობა არ მიჭირდა, თუმცა ვინმე თუ მომეწონებოდა, აქ უკვე ძალიან მიჭირდა, ვწითლდებოდი.

**— თქვენ მეუღლეს, ქალბატონ მანანას, როგორღა გაუბედეთ სათქმელი?**

— პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ხშირად იმართებოდა სხვადასხვა ღონისძიება... ერთ-ერთ ასეთ „ცისფერ კაფეზე“ მანანა მოვიდა თავის მეგობრებთან ერთად. მისი მოკლედშეჭრილი თმებით, ლამაზი ვარცხნილობით და შავი თვალებით მაშინვე მოვიხიბლე. ისინი გვერდით მაგიდასთან ისხდნენ. მივაშტერდი ამ შავთვალება გოგოს, თან ვატყობ, რომ ისიც გრძნობს ჩემს მზერას. უეცრად ჩემკენ გამოიხედა და ამან სულ გამაგიჟა.

შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე — მეგობრებმა გამაცნეს მანანა. ამას მოყვა კინოში სიარული, სტუმრიანობა ახლობლების ოჯახებში და ერთ-ერთი ასეთი ქეიფის შემდეგ, ცოტა ნასვამიც ვიყავი და, როგორც იქნა, გავუბედე სათქმელი.

სხვათა შორის, მანანა მგალობლიშვილია, დედაჩემიც მგალობლიშვილია, თუმცა სხვადასხვა შტოსანი არიან. ჩემი მშობლები და მანანას მშობლებიც ხედავდნენ, რომ ჩვენ გულით გვიყვარდა ერთმანეთი, ამიტომ არც წინააღმდეგობა გაუწევიათ.

— გული აზსენით და ბევრის ნათქვამი მინდა გავიხსენო, მით უმეტეს, მეც ვარ ამის მომსწრე. სპორტსმენებს, მეგობრებს, რიგით ადამიანებს ხშირად ამოსდგომიხართ მხარში, რაც მთავარია, ყველას გულით ეხმარებოდით. რა არის ამის მიზეზი — უარს ვერეუბნებოდით, ხელმძღვანელის პოზიციაა თუ მოვალეობა?

— როდესაც კაცს ვეხმარები, ამით რაღაც მე მემატება, საკუთარ თვალში ვმაღლდები და ბედნიერი ვარ. გაჭირვებული ადამიანის მხარში დგომა ოჯახიდან მომდგამს. ასეთები იყვნენ: მამაც, დედაც, ბებიაც... მდიდარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მართლაც ბევრს დავხმარებივარ. სიკეთის კეთება ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა.

**— რა გავლენას ახდენენ თქვენზე გარშემო მყოფი ადამიანები?**

— საერთოდ, მიმდობი ადამიანი ვარ. მჯერა, რომ საქმესა თუ ცხოვრებაში სხვებიც ისევე მომექცევიან, როგორც მე ვეპყრობი მათ. ამის გამო ბევრჯერ შევმცდარვარ, ბევრსაც უღალატია ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია ჩემთვის. ვერ ვიტან მოღალატეებს, თუმცა რას იზამ, ეს მათი უბედურებაა, მე კი ჩემი მეგობრებითა და ოჯახით ვარ ბედნიერი, რითაც ვამაყობ. თქვენ წარმოიდგინეთ, 69 წლის კაცი ვარ და საბავშვო ბაღისა და სკოლის თუ ინსტიტუტის მეგობრები დღესაც მყავს. იცით, რომ 2000 წლიდან ინსულტის გამო მიჭირს მოძრაობა და ისე ხშირად ველარ გავდივარ ქალაქში, თუმცა მეგობრები მიდგანან მხარში და ყოველ დღე მაკითხავენ. პრაქტიკულად მარტო არ ვრჩები. სწორედ მათი და ჩემი ოჯახის დამსახურებაა, რომ კვლავაც ვიბრძვი და საქმის კურსში ვარ, რაც ხდება ქართულ სპორტში.

მე ბედნიერი ვარ. მყავს ორი ქალიშვილი — ეკა და ნინო, შესანიშნავი სიძეები — გია ადეიშვილი და ბუკა ქურციკიძე. ასევე — 4 შვილიშვილი, ერთ-ერთს ჩემი სახელი — დაარქვეს, თუმცა ეგაა, ბაგრატიონის გვარს ისინი ვერ გააგრძელებენ. რაც მთავარია, მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე, რომელთან ერთადაც, აგერ, 42 წელია მოდიევარ ცხოვრებაში და ჯერ სერიოზული კამათიც კი არ გვქონია ერთმანეთში.

**— ოჯახის წევრების გარდა, თქვენ დიდებული სანათესაოც გყავთ. ლიზი ბაგრატიონი, ცნობილი მომღერალი, თქვენი ძმისშვილია, ხოლო კიდევ უფრო პოპულარული ბუბა კიკაბიძე — მამიდაშვილი.**

— სხვათა შორის, ბუბა რომ დიდ ესტრადაზეა, ამაში ჩემი წვლილიც არის. ბუბა სტუდენტობის პერიოდში ხან სამედიცინო ინსტიტუტის საესტრადო ანსამბლში იყო, ხან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანსამბლში. მოხდა ისე, რომ ჩვენი გასტროლები მოსკოვში და სსრკ-ის ჩემპიონატი ლვოვში ერთმანეთს დაემთხვა. არჩევანი ხელბურთის სასარგებლოდ გავაკეთე, მოსკოვში კი ჩემ მაგივრად ბუბა გავუშვი. ის ნიჭიერი კაცია და წარმატების მიღწევა არ გასჭირვებია. სწორედ აქედან გავიდა ბუბა კიკაბიძე დიდ ესტრადაზე და საოცარი პოპულარობაც მოიპოვა მთელ საბჭოეთში.

ბუბას პოპულარობასთან დაკავშირებით ერთ ისტორიასაც მოგიყვებით: ვნუკოვოს აეროპორტიდან თბილისში ბრუნდება ჩვენი გუნდი, თუმცა ერთი ბილეთი გვაკლია. სალაროში ერთ-ერთ გოგონას ვთხოვე, ბილეთის ფულიც ჩავუდე პასპორტში, მაგრამ თავი მოიკლა — თბილისის ბილეთი არ გვაქვსო. ამ დროს დავინახე ბუბა მოსეირნობს. ვტაცე ხელი, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და სალაროს სარკმელში შევაყოფინე თავი. მოლარეები, ცოცხალი „მიმინო“ რომ დაინახეს, ერთმანეთს ასწრებდნენ ბილეთის გამოწერას.

**— თავის დროზე მოსკოვში, მსახიობების გარდა, საყოველთაო სიმპათიით ქართველი სპორტსმენებიც სარგებლობდნენ. დღეს ეს ურთიერთობა ნაწილობრივ შეილახა. თქვენ როგორ ფიქრობთ, სპორტულ სამყაროს თუ შეუძლია ტრადიციული კეთილგანწყობის აღდგენა?**

— მე მთელი ცხოვრება სპორტში ვარ. ბევრი ქვეყნისა თუ ეროვნების ათლეტებთან და ჩინოვნიკებთან მქონია კონტაქტები. ყველასთან კარგი ურთიერთობა გვქონდა და ყოველთვის: რუსებთანაც, აფხაზებთანაც, ოსებთანაც... ერთად ვიმარჯვებდით.



სპორტი მძლავრი ბერკეტია. ერთობლივი ვარჯიშებით, სპარინგებით, სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობით არა მარტო აღვადგენთ ნორმალურ ურთიერთობას, არამედ ეს ორივე ქვეყნის სპორტსმენებისთვისაც სასარგებლო იქნება.

**— საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი 1989 წელს შეიქმნა. გამოვეყავით საბჭოურ სპორტს, მაგრამ განვლილი პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ჭიდაობის სახეობებში, ძალოსნობასა და კრივში მივაღწიეთ ევროპისა თუ მსოფლიო მასშტაბის შედეგებს. ხომ არ ვიჩქარეთ მაშინ?**

— სიმართლე გითხრათ, მაშინ მე ცოტა სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. სეოკ-ის დაფუძნების ინიციატორთა შორის ისეთი ხალხიც იყო, რომელთა ლოზუნგებსა და საქმიანობასაც არ ვიზიარებდი. პიროვნულად ვხვდებოდი, რომ საჭირო საქმე კეთდებოდა. საქართველოს სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძეც ემხრობოდა ამ იდეას, თუმცა პირადად მე ცოტა ნაჩქარევად მივიჩნევდი ასეთ გადაწყვეტილებას. საბოლოოდ მაინც სწორად მოვიქეცით. ყველაზე გონივრული კი სეოკ-ის პრეზიდენტად ნონა გაფრინდაშვილის არჩევა იყო. რომ არა ნონა, დღევანდელ დონეს საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა ვერ მიაღწევდა. მართალია, ქვეყნის მაშინდელი ხელისუფლებისგან შესაფერისი მხარდაჭერა არ გვქონდა, პირველ რიგში ფინანსური, მაგრამ ჩვენს ათლეტებს ჯერ კიდევ მოსდევდათ ძველი მომზადების გარკვეული დონე და ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედლებიც მოვიპოვეთ.

მომდევნო, ატლანტის ოლიმპიადისათვის უკვე ფინანსური პრობლემების გამო კარგად ვერ მოვემზადეთ და მხოლოდ ბრინჯაოს ორ მედალს დავჯერდით. ოქროს მედლის რეალური კანდიდატის — დავით ხახალეიშვილის აწონვაზე დაგვიანებამ კი ყველაზე მეტად დაგვწყვიტა გული.

**— ალბათ, ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი სეოკ-ის პრეზიდენტობიდან ქალბატონ ნონას გადადგომისა? თუ არ ვცდები, მან დააყენა თქვენი კანდიდატურაც...**

— ნონა გაფრინდაშვილის შემდეგ სეოკ-ის პრეზიდენტობა ჩემთვის მეტად საპატიოც იყო და რთულიც. გახსოვთ, გასული საუკუნების 90-იანი წლები რამდენად მძიმე იყო ჩვენთვის, მაგრამ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მაინც მოვიპოვეთ ბრინჯაოს ექვსი მედალი. ტრაბახი არ მიყვარს, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ჩემი ინიციატივით დაარსდა საქართველოს ოლიმპიური ფონდი, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა და ახლაც შეაქვს ქართული სპორტის განვითარებაში.

იცით, ფონდის პრეზიდენტი ბატონი ბადრი პატარკაციშვილია, სპორტსმენების გარდა, ფონდი ეხმარება მწვრთნელებს, ვეტერანებს, მსაჯებს... ყველანი წელში გაიმართნენ. მეტსაც გეტყვით, რომ არა ბატონი ბადრი და ეს ფონდი, რომლის თანადგომითაც მოემზადნენ ჩვენი ათლეტები ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის, დღეს ზურაბ ზვიადაურისა და გიორგი ასანიძის ოლიმპიური ოქროს მედლები არ გვექნებოდა. მათი გამარჯვებით მთელმა საქართველომ გაიხარა და მეც ბედნიერი ვარ, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში, თორმეტწლიანი პაუზის შემდეგ, მოვიპოვეთ ოქროს მედლები. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება ისაა, რომ სპორტის სათამაშო სახეობებში ვერ ავიღეთ ოლიმპიური ლიცენზიები.

ბუნებრივია, გული იმაზეც მწყდება, რომ ჯანმრთელობის გამო ვერც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე და ვერც ათენში ვერ გავემგზავრე, თუმცა ვფიქრობ, ქართული სპორტისთვის, ჩვენი ოლიმპიური მოძრაობისათვის საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთე. სეოკ-ის დღევანდელი პრეზიდენტი — ბადრი პატარკაციშვილი — ჩემი ინიციატივით ავირჩიეთ, რადგან ვთვლი, რომ დღეს სწორედ ბატონი ბადრი სჭირდება ქართველ ოლიმპიელებს და მისი თანადგომით კიდევ ბევრ გამარჯვებას იზეიმებენ ჩვენი ათლეტები.

**— როგორ ფიქრობთ, პეკინში შევძლებთ ათენის ოლიმპიური თამაშების შედეგის გამეორებას? ორ-ორი ოქრო-ვერცხლი არც ამჯერად იქნება ჩვენთვის ურიგო.**

— რა თქმა უნდა, ვიმედოვნებ, რომ ოქროს მედალს პეკინშიც მოვიპოვებთ, მაგრამ ათენის გამეორება რთული იქნება. გასათვალისწინებელია ჩინეთის კლიმატი, საათო ზოლებს შორის სხვაობა, გაზრდილი კონკურენცია. მასპინძლები სერიოზულად ემზადებიან და ვფიქრობ, ჩვენს ტრადიციულ ჭიდაობის სახეობებში სწორედ ისინი იქნებიან მთავარი კონკურენტები. თუმცა, ვიმეორებ, ქართველი ათლეტები მონდომებით ვარჯიშობენ და თუ ცოტა ბედმაც გაგვიღიმა, შესაძლოა, უკეთესი შედეგებითაც დაბრუნდნენ პეკინის ოლიმპიური თამაშებიდან.

**— ბატონო ჯანო, ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობები გეკავათ და, შესაბამისად, განკარგულებებსაც თქვენ იძლეოდით. საინტერესოა, ოჯახში ვინ არის უფროსი, თქვენ თუ თქვენი მეუღლე?**

— მოდით, ამის შესახებ თავად ქალბატონ მანანას ვკითხოთ.

— სიამოვნებით გიპასუხებთ, მით უმეტეს, დასამალი აქ არაფერია. როგორც ყველა ქართულ ოჯახში, ლიდერი, თუ შეიძლება ასე ვიტყვი, ჯანოა. მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, მის გარეშე არაფერი არ წყდება.

**— სახლში ხმაურიანია?**

— კი, ხმაურიანია. უფრო სწორად, იყო. სახლში რომ შემოვიდოდა, მაშინვე დატრიალდებოდა, ეს აქ რატომ დევს, ის სად არის?! მოკლედ, ყველას ფეხზე გვაყენებდა. სანამ ვასადილებდი, ხმაურობდა, მერე დაწყნარდებოდა ხოლმე.

**— კერძებიდან რომელი უყვარს?**

— სხვათა შორის, პრეტენზიული არ არის. რასაც დავახვედრები, ყველაფერზე თანახმა იყო.

**— ბატონი ჯანოს სუსტი წერტილი რა არის?**

— სპორტი. როცა საქმე ეხება სპორტს, რაიმე სხვაზე ლაპარაკი შეუძლებელია.

**— ბატონმა ჯანომ მთელი ცხოვრება მართლა სპორტს შეალია, თქვენთვის ეს მისაღებია?**

— რასაკვირველია, მისაღებია. კაცს უნდა ჰქონდეს თავისი მოწოდება, საქმე, რომელსაც ერთგულად ემსახურება და ეს მისასალმებელია. სხვათა შორის, ყველაფერში ერთგულია: სპორტშიც, ოჯახშიც, შვილებთან ურთიერთობაშიც, რასაც მოკიდებს ხელს, ყველაფერს გულიანად აკეთებს.

**— მაინც როგორია შვილებთან?**

— როდესაც პატარები იყვნენ, ძალიან ყურადღებიანი მამა იყო. ახლაც ასეა, მაგრამ, ძირითადად, ბუნებრივია მე მიწევდა ბავშვებთან ურთიერთობა, ვინაიდან ხშირად მიემგზავრებოდა შეჯიბრებებზე.

**— საკავშირო ჩემპიონატები უმეტესად რუსეთის ქალაქებში ტარდებოდა, არ ეჭვიანობდით?**

— ნამდვილად არ ვეჭვიანობდი, საბაბი არასდროს მოუცია. ჩვენ ყოველთვის გულწრფელი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჭკვიანად იქცეოდა რუსეთში, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მთლად ჭკვიანადაც არ იქცეოდა.

**— თქვენს ოჯახში ხშირია სტუმრიანობა. მასპინძლობა ქართველებისთვის ტრადიციულად სასიამოვნოა, მაგრამ სადილების კეთება, შემდეგ ჭურჭლის რეცხვა მომაბეზრებელი ხომ არ არის თქვენთვის?**

— ცოტა ძნელია, მაგრამ მე შეჩვეული ვარ. ჩვენი ოჯახი ყოველთვის მრავალრიცხოვანი იყო და სტუმართმასპინძლობაც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენთვის. პირიქით, მიხარია კიდეც, რომ ჯანოს დიდი სამეგობრო ჰყავს და ახლაც ხშირად მოდიან ჩვენთან.

**— ბატონო ჯანო, მეგობრებში ქეიფი და კარგი ღვინო, ვფიქრობ, ჩვეულებრივი სიტუაციაა თქვენთვის.**

— მართალი ხარ, მეგობრების წრეში მოლხენა მეც მიყვარს. სმითაც არ შევირცხვენდი თავს, ბოლომდე დავიხარჯებოდი სუფრასთან და არამარტო ღვინის სმაში, არამედ ყველაფერში, რაც ამშვენებს ქართულ სუფრას — სიმღერა, სიტყვა-პასუხი, თამადობა...

**— ბატონო ჯანო, ერთი კითხვაც და აღარ მოგაწყენთ თავს. მრავალ ამპლუაში ყოფილხართ — სპორტსმენი, ესტრადის მომღერალი, ჩინოვნიკი, პრეზიდენტი, მეუღლე, ბაბუა... ბევრიც გინახავთ ამ ქვეყანაზე. მითხარით, რა არის კაცის საკეთებელი?**

— კაცმა უნდა აკეთოს საქმე. ის საქმე, რომელიც იცის. ქვეყნისთვის უნდა დაიხარჯოს, სიკეთე თესოს. ოჯახისთვის, მეგობრისთვის უნდა იცხოვროს. მთავარი კი სიყვარულია. თუ ამის ნიჭი არ გაქვს, არც შენიანებს გამოადგები და არც შენს ქვეყანას. თუ სიყვარული შეგიძლია, მაშინ ხარ კაცი და კაცის საკეთებელსაც მაშინ გააკეთებ.

* * *

*როგორც ვთქვი, ბატონ ჯანოსთან საუბარი ყოველთვის სასიამოვნოა. კიდევ ბევრი რამ მინდა შევიტყო მისგან. ეს ჭიქაც, კონიაკით, თითქმის სავსეა, მაგრამ ბატონ ჯანოს ეჩქარება, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ელიან.*

*ჯანოს გული კვლავ საყვარელი საქმისკენ მიუწევს...*

**გოგი ფრანგიშვილი**

ჭიდაობა

# კლასიკურ რჩეულს მართვე შეავსებს



ვლადიმერ ადეიშვილი

**მოჭიდავეთა** ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის ჩემპიონატისწინა დასკვნით შეკრებებზე გადადიან. 27-31 ივნისს სერბეთის მთავარქალაქ ბელგრადის ხალიჩაზე ჯერ თავისუფალი სტილის მიმდევრები გავლენ, შემდეგ კი — ბერძენ-რომაელები. ნუგზარ სხირელის გუნდი ევროსამზადისს გორში, ვარიანის სპორტულ დარბაზში დაასრულებს. თავისუფლები ბელგრადში 23 ივნისს გაფრინდებიან 27-28-ში კი იჭიდავებენ. ვლადიმერ ადეიშვილის ბიჭებისთვის ხალიჩა თვის ბოლო ორ დღეს გაიშლება.

ახალგაზრდა კლასიკოსები სერბეთში 28 ივნისს ჩავლენ. იქამდე კი ორი კვირა თბილისში, ნაძალადევში მდებარე „მართვეს" დარბაზში ხვალიდან ივარჯიშებენ და იქვე, სასტუმროში იცხოვრებენ. თავისუფლების საევროპო შემადგენლობა უკვე ცნობილია, ხოლო ბერძენ-რომაელების თავკაცი საბოლოო რჩეულის ჩამოწერამდე შიდაკონკურენციას და კანდიდატთა შესაძლებლობებს ერთხელაც გადახედავს.

„ერთ-ორ წონაში მთავარ კანდიდატებს ტრავმები აწუხებთ და გადავწყვიტეთ, ბოლო შეკრებამდე დასკვნების გაკეთებისგან თავი შევიკავოთ — გვითხრა გუშინ ადეიშვილმა — „მართვეს" დარბაზში ყველაფერს ავწონ-დავწონით და სავარაუდოდ, შეკრების დაწყებიდან რამდენიმე დღეში შემადგენლობაც გაირკვევა. დასკვნით შეკრებაში გაფართოებული გუნდი მიიღებს მონაწილეობას. თან ორმოცამდე მოჭიდავეს ვიახლებთ."

შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა კლასიკოსებმა თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. წლეულს ის გუნდი თითქმის მთლიანად გადახალისდა, ძირითადად, ასაკობრივი ბარიერის გამო.

*ვლადიმერ ადეიშვილი:* „საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ტურნირებზე ყოველთვის სუფთა გუნდით ჩადის. ჭიდაობაში ასაკის გადაკეთება, სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ამბავია და ხშირად ჩვენს ბიჭებს თავისზე ბევრით უფროსებთან უწევთ დაჭიდება. ამის მიუხედავად, როგორც ყოველთვის, განწყობა ოპტიმისტურია. შარშანდელი გუნდიდან წლეულს ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ლაშა გოგიტაძე იჭიდავებს, ოღონდ თუ მაშინ 50 კილოგრამში გამოდიოდა, ახლა 55-ში იქნება. ახალი შემადგენლობა წინა ევროპირველობის შედეგის გაუმჯობესებას ეცდება და იმედია, შეძლებს კიდეც."

**ოთარ მაღლაკელიძე**

ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. მეორე ეტაპი

V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | (3:2) | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | (3,5:1,5) | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | (2,5:2,5) | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0:1 | (1,5:3,5) | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

# ორნი მექსიკაში

**მეხუთე ტურში** ორი ფინალისტი გაირკვა. ბორის გელფანდმა და პეტერ ლეკომ პარტიები სასურველი შედეგით დაასრულეს და მექსიკის საგზურიც მოიპოვეს.

შეგახსენებთ რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სექტემბერში მექსიკა უმასპინძლებს და მასში 8 დიდოსტატი ითამაშებს.

ლეკომ თავიანვე ყოჩაღად დაიწყო ტურნირი. ჯერ იყო და პირველ ეტაპზე მიხეილ გურევიჩი დროზე ადრე, ოთხ პარტიაში დაამარცხა. ახლა კი იგივე ევგენი ბარეევთან გაიმეორა და რუსი ხუთ მატჩში დაჯაბნა. მეხუთე პარტიაში ლეკომ კვლავაც კარო კანის დაცვით ითამაშა, მეტოქეს გაცვლები შესთავაზა და შეხვედრა მე-19 სვლაზე დაასრულა.

შავი ფიგურებით იმარჯვა ბორის გელფანდმა. ამერიკელ გატა კამსკის მან 53-ე სვლაზე მოუგო და მექსიკის ბილეთი დაჯავშნა.

**ლაშა ბებეშკორი**

ხელბურთი

# ევროპამ აფრიკაში მსოფლიო დაიპყრო

**ეგვიპტის** დედაქალაქ კაიროში ვაჟ ხელბურთელთა „სუპერ გლობის" მესამე ტურნირი გაიმართა, რომელშიც ოთხი კონტინენტის ხუთი კლუბი მონაწილეობდა — „სიუდად რეალი" (ესპანეთი), „მეტოდისტა" (ბრაზილია), „ალ ქაზია" (ქუვეითი), „მულუდია ქლაბ დალჟერი" (ალჟირი) და მასპინძელი „ალ აჰლი ქლაბ ქაირო".

შეჯიბრება ერთ წრედ ჩატარდა და ევროპის წარმომადგენელთა გამარჯვებით დასრულდა, თუმც ბებერი კონტინენტის შარშანდელ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორსა და საკლუბო ჩემპიონს პირველობის მოპოვება საკმაოდ გაუჭირდა.

დასკვნით ტურამდე „სიუდად რეალი" და „ალ აჰლი" უდანაკარგოდ, სამ-სამი გამარჯვებით მივიდნენ. მასპინძლებმა ტაიმი ერთი ბურთით მოიგეს — 16:15 და საბოლოო წარმატებასთანაც ახლოს იყვნენ, რადგან ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით მათ ფრეც აძლევდათ ხელს, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და დრამატულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ — 28:29.

მესამე ადგილზე ალჟირელი ხელბურთელები გავიდნენ.

**გია ახალაძე**

ჩოგბურთი

# ქართველები უკრაინულ ბადეში

**უკრაინის** ქალაქ ჩერკასკში ITF-ის ეგიდით მიმდინარე კაცთა 10-ათასიან ტურნირებზე ქართველები, როგორც იქნა მოხვდნენ ძირითად ბადეში.

სერიის პირველ ორ შეჯიბრზე ნოდარ ითონიშვილი, გიორგი ხრიკაძე და გიორგი ჭანტურია საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევას ვერ ახერხებდნენ. ჭანტურია მესამე ჯერზეც კვალიფიკაციის პირველივე წრეში დამარცხდა. აი, ითონიშვილმა კი იყოჩაღა, კირილ სავოსკულთან გამარჯვების შემდეგ მეორე უკრაინელს, იგორ ნიკიტინსაც მოუგო 6:0 7:6 და ძირითად ბადეში მოხვდა, სადაც მისი პირველი მეტოქე კიდევ ერთი უკრაინელი, მე-7 ნომრად განთესილი და ATP-ის რეიტინგში 1332-ე ადგილზე მყოფი ალექსანდრ იარმოლა იქნება.

ძირითად ბადეშია ხრიკაძეც, ვისაც ტურნირის ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი" უბოძეს. გიორგი პირველ წრეში 22 წლის გერმანელს, კლასიფიკაციაში 1181-ე ადგილზე მყოფ მარტინ ემრიხს დაუპირისპირდება.

## მეორე წრე და მორჩა




**წარუმატებლად** დასრულდა ქართველი ჩოგბურთელების — სალომე დევიძისა და სოფო მელიქიშვილის ცდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალენტოუნის ჰარდზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილიყვნენ.

არადა, ჩვენებურები კვალიფიკანტთა შორის განთესილები იყვნენ — დევიძე, სულაც პირველი ნომერი იყო, ხოლო მელიქიშვილი — მეშვიდე და პირველი საკვალიფიკაციო ბარიერი ორივემ დაძლია კიდეც, მაგრამ მეორე წრე მათთვის საბედისწერო გამოდგა. დევიძეს 6:3 6:4 მოუგო 18 წლისა და რეიტინგში 780-ე ადგილზე მყოფმა ამერიკელმა კიმბერლი კოუტსმა, მელიქიშვილი კი — მეორე ამერიკელთან, 16 წლისა და კლასიფიკაციის 782-ე საფეხურზე მყოფ ასია მუჰამედთან 6:4 4:6 3:6 დამარცხდა.

ველორბოლა

# უნდოდა და მოიგო

**გრენობლში** 4-კილომეტრიანი პროლოგით დაწყებული პოპულარული შეიდეტაპა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერეს" პირველი და უგრძესი — 219-კილომეტრიანი ეტაპი გერმანული „გეროლშტაინერის" გერმანელმა მრბოლმა ჰაინრიხ ჰაუსლერმა მოიგო, რომელმაც გრენობლიდან რუანამდე გაჭიმული გზის გავლას 5 საათი და 35 წამი მოანდომა.

ველოქარავანი გრენობლიდან ახალი გასული იყო, როდესაც პელოტონს ორი ფრანგი — ნიკოლა პორტალი და რემი პორიოლი მოწყდა. რბოლის მასპინძლებმა თითქმის ბოლომდე ასე წინ იარეს და ერთი პირობა მდევრებს 8 წუთსა და 45 წამსაც უგებდნენ, მაგრამ ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე ქარავანმა მაინც ჩაყლაპა გაქცეულები და ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა. ამ ბრძოლაში ფავორიტად ბელგიური „ქვიკ სტეპის" ლიდერი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტომ ბოონენი მიიჩნეოდა, მაგრამ ბელგიელმა ძალები ვერ გათვალა, ადრე დაიწყო საფინიშო სპურტი და შედეგად, პირველი ადგილი ჰაუსლერმა დაიკავა, რომელიც ზედ ფინიშის წინ გამოხტა ავსტრალიელი გრემ ბრაუნის ზურგს უკნიდან.

ჰაუსლერი პირველი იყო, ბოონენი მეორე, ბრაუნი მესამე და ლიდერის ყვითელი მაისურა კი პროლოგის მომგებმა ბრიტანელმა ბრედლი ვიგინსმა შეინარჩუნა. ის კვლავაც ერთ წამს უგებს მეორე ადგილზე მყოფ ამერიკელ ლევი ლეიფჰემერს, ხოლო ყაზახი ანდრეი კიშჩკინი და მეორე ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპი ვიგინსს ორ-ორი წამით ჩამორჩებიან.

„საფრანგეთში მშვენიერ ფორმაში მყოფი ჩამოვედი და მინდოდა, ერთი ეტაპი მაინც მომეგო. ეს შევძელი და ამის შემდეგ ჩემი ამოცანა, უკვე გუნდის ლიდერების — ბერნარდ კელისა და მარკუს ფონტენისთვის სამთო ეტაპებზე დახმარების გაწევა იქნება" — ვალმოხდილი კაცის სიტყვებით ხარობდა გამარჯვების შემდეგ ჰაუსლერი.

პლაჟის ფრენბურთი

# საქა-რთველოს ბადემდე საბედისწერო ნაბიჯი აკლია

**გუშინ** პორტუგალიაში საპლაჟო ფრენბურთში ღია ტურნირი დაიწყო, სადაც ჩვენი ქალთა წყვილი საქა და რთველოც თამაშობენ.

საქამ და რთველომ იგივე ანდრეზა მარტინიმ და კრისტინ სანტანამ 200-ათასიანი ტურნირი საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყეს.

რადგან ჩვენების რეიტინგი საკმაოდ მაღალია, კვალიფიკაციაში განთესილებში მოხვდნენ და პირველი წრე გამოტოვეს. მეორე წრეში კი პოლონელებს, ურბანს და ვიატრას, ლამის ერთსაათიან ფრენბურთობაში 2:1 მოუგეს და ერთი გამარჯვებაღა აკლიათ ძირითად ბადეში მოსახვედრად. საამისოდ ქართულპასპორტიან ბრაზილიელებს ბერძნული წყვილის, კუტრუმანიდუს და ციარციანის დამარცხება მართებთ.

**ბაჩო სვანიძე**





# ბედნიერი კაცის აღსარება

## რაფაელ ნადალი: პატარა გამართლების გარეშე ფედერერს ვერ მოუგებ

**რაფაელ ნადალმა თავისი სახელი სამუდამოდ ჩაწერა საჩოგბურთო ისტორიაში — ესპანელმა ჯადობიჭმა კიდევ ერთხელ გაამწარა როჯერ ფედერერი და ზედიზედ მესამედ მოიგო „როლან გაროსი". ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ერთ დიად ჩოგნის მქნეველს, ბიორნ ბორგს გაუკეთებია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მალიორკელი პარიზის წითელ გრუნტზე ჯერაც დაუმარცხებელია. თუმც თავად ნადალისთვის ეს წარმატება იმით ყოფილა მნიშვნელოვანი, რომ წლეულს მას თავისი საუკეთესო თამაში უჩვენებია. ესპანელი ამაზე და სხვა მრავალ საინტერესოზე ქვემოთ გიამბობთ**



— ბოლო სეტში დიდი ზეწოლის ქვეშ გიწევდათ თამაში — საკუთარი მოწოდება აუცილებლად უნდა შეგენარჩუნებინათ, რასაც თავი კარგად გაართვით...

— ეს მართლაც ძნელი იყო. ამ დროს ზეწოლა ერთიორად იზრდება — მოგებასთან ახლოს ხარ და ამის გაცნობიერებას წყობიდან ოდნავ გამოჰყავხარ. სათანადოდ განწყობა განსაკუთრებით ძნელი გეიმების დასაწყისში იყო, თუმც, ვფიქრობ, ეს მოვახერხე. მოწოდებისას აქცენტს სიძლიერეზე კი არა სიზუსტეზე ვაკეთებდი, რათა ორმაგი შეცდომის დაშვების პრობლემის წინაშე არ დავმდგარიყავი. თან როჯერიც რამდენჯერმე შეცდა მიღებისას, რაც საკმაოდ წამადგა.

— 17-დან 16 ბრეიკ-პოინტი გააუვნებელყავით, აქედან 10 პირველ სეტში. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა? პირველი სეტის წაგების შემთხვევაში წარმატების შანსი აშკარად შემცირდებოდა, არა?

— მთლად ეგრეც არ არის, რადგან თამაში პირველ სეტში ხომ არ მთავრდება? თუმც ამ პარტიის მოგებას ჩემთვის მართლაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ როჯერს კიდევ სამი სეტი უნდა მოეგო — მატჩის გაწელვა კი მცირე უპირატესობას მე მომცემდა.

— დაჯილდოვებისას, როცა ტრიბუნებს მიმართეთ, განაცხადეთ, რომ როჯერის დამარცხება საცოდაობა იყო...

— არასწორად გაიგეთ. უბრალოდ, ვთქვი, რომ კარგად მესმის, თუ რამდენად გულდასაწყვეტი იყო ეს წაგება მისთვის. ის ხომ ასე ახლოს იყო თავის მიზანთან — შეეძლო ზედიზედ მეოთხე სლემტურნირი მოეგო და „დიდი სლემი" შეეგროვებინა.

— აქ ზედიზედ მესამედ გაიმარჯვეთ, თან პარიზში ერთხელაც არ წაგიგიათ. რა ემოციებს იწვევს თქვენში ასეთი მიღწევები?

— ბედნიერი ვარ, გიკვირთ? სეზონის დასაწყისში, ავსტრალიაში, ცუდ ფორმაში ვიყავი და მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, ამდენს თუ მოვახერხებდი. მაგრამ წლეულს უკვე ხუთი ტურნირი მოვიგე, აქედან სამი მასტერსი, ეს ნამდვილი ფანტასტიკაა. რაც მთავარია, კარგ ფორმაში ვარ და როგორც თიხნარზე, ისე ჰარდზეც მშვენივრად ვთამაშობ.

— როგორც თიხნარის სპეციალისტს, ბევრი მიიჩნევს, რომ თქვენ გრძელი გათამაშებები გიყვართ. ფინალში კი ხშირად ცდილობდით, ყველაფერი სამ-ოთხ დარტყმაში დაგემთავრებინათ, რაც ფედერერისთვის უფრო დამახასიათებელი...

— ეს ყოველთვის კონკრეტულ მომენტზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ რამდენად ხარ დარწმუნებული საკუთარ თავში. ასე თამაში უფრო ძნელია, მით უმეტეს, როჯერთან, მაგრამ წლეულს ვგრძნობ, რომ უფრო სრულყოფილი მოთამაშე ვარ და შემიძლია, მეტად ვიაქტიურო. აღარ მაშინებს ბადესთან გასვლა, რასაც თუნდაც შარშან გავურბოდი. მოკლედ, წლეულს აშკარად მოვუმატე.

— არ მოგეჩვენათ, რომ მან დღეს უცნაურად ითამაშა? თავისთვის უჩვეულოდ, ცდილობდა, ტემპი დაეგდო და ნაკლებად აქტიურობდა...

— ფინალი არასოდეს არ არის იოლი სათამაშო. აქ ყოველთვის ძნელია საუკეთესო თვისებების გამოვლენა. მით უმეტეს, ეს რთული იყო როჯერისთვის, რომელსაც უდიდესი ზეწოლის ქვეშ უწევდა თამაში. თუმც იმის თქმაც, რომ მან ცუდად ითამაშა, სრული სისულელე იქნება.

— „როლან გაროსი" მესამედ მოიგეთ. ამ სამი წარმატებიდან რომელი იყო განსაკუთრებული?

— ყველა თავისებურად სასიამოვნო იყო. პირველად მოგების შემდეგ ბედნიერი ვიყავი, რადგანაც ეს სწორედ რომ პირველად იყო. შარშან ტრავმის შემდეგ ახალი დაბრუნებული ვიყავი და ამან თავისი ელფერი შესძინა სიხარულს. ამჯერად კი გამარჯვებასთან ერთად კარიერის საუკეთესო თამაში ვაჩვენე — ასე რომ, ეს გამარჯვებაც განსაკუთრებულია.

— რამდენად ძნელია ზეწოლის გაძლება, როცა მაყურებლის და სპეციალისტების 99 პროცენტი თქვენგან მხოლოდ გამარჯვებას ელის?

— ეს ნამდვილი ჯოჯოხეთია. თუმც ვცდილობ, სხვების მოლოდინს ყურადღება ნაკლებად მივაქციო — აქცენტს ყოველთვის საკუთარ თამაშზე ვაკეთებ. განსაკუთრებით ტურნირის საწყის ეტაპებზე, რადგანაც საჭიროა, ადგილობრივ პირობებს და გარემოს შეეგუო, მით უმეტეს, აქაურ ცენტრალურ კორტს. მერე ნელ-ნელა უმატებ, ფორმაში შედიხარ და ზეწოლასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევ. მაგალითად, წლეულს საკუთარ შესაძლებლობების ლეიტონ ჰიუიტთან გამარჯვების შემდეგ ვირწმუნე.

— სულ უფრო ხშირად გეძახიან ერთი საფარის მოთამაშეს. ალბათ ამის გამო უფრო მეტად გინდათ სხვა საფარიანი სლემტურნირის მოგება...

— ნებისმიერი სლემტურნირის მოგება დიდი პატივია. თუმც კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემთვის მთავარი საკუთარ თამაშზე კონცენტრაციაა. ვცდილობ, მაქსიმალურად მოვუმატო, რადგანაც ვიცი, რომ საკუთარ თავზე მუშაობა ერთადერთი გზაა მეტი სლემტურნირის მოგებისკენ. ისე კი, მგონი, უკვე დავამტკიცე, რომ ჰარდზეც შემიძლია კარგად თამაში. წლეულს ინდიან უელსში ვიმარჯვე, ორი წლის წინ კი მონრეალში და მადრიდში ვიხეირე.

— ჰამბურგის შემდეგ, სადაც როჯერთან დამარცხდით, რაიმე განსაკუთრებული ტაქტიკა ხომ არ შეიმუშავეთ?

— არა. ვიცოდი, რომ თუ ჩემს საუკეთესო თამაშს ვაჩვენებდი, წარმატებას მივაღწევდი. როჯერს ვერაფრით გავაკვირვებდი. ამიტომ მთავარი იყო, გამეკეთებინა ის, რაც შემიძლია.

— როჯერმა მატჩის გადამწყვეტ ფაქტორად თქვენი ფიზკური მზადყოფნა დაასახელა. ამაზე რას იტყვით?

— ძნელი სათქმელია. ყველა ბურთისთვის ბოლომდე კი ვიბრძოდი, მაგრამ, მგონი, ცოტა გამიმართლა კიდეც. ამის გარეშე როჯერთან ძნელია მოგება — მან დღესაც უმაღლეს დონეზე იჩოგნავა.

— პირველად როდის გაიფიქრეთ, რომ მოგებას უახლოვდებოდით?

— ამაზე არც მიფიქრია, არ იყო ამის დრო. გამარჯვების მხოლოდ მაშინ ვირწმუნე, როცა მატჩ-პოინტი გათამაშდა. თუმც არა — ბოლო გეიმში 40:0-ზე ვთქვი, „აი, ახლა კი უნდა მოიგო-მეთქი".

— რა იგრძენით, როცა მაყურებელმა როჯერი უფრო დიდი ოვაციით დააჯილდოვა?

— არც არაფერი.

— ელოდით?

— რა თქმა უნდა. მას ხომ სულ ცოტა დააკლდა, რომ ისტორიული მიზნისთვის მიეღწია. თან ნომერ პირველი ჩოგბურთელია.

— როგორ ფიქრობთ, ფედერერი როდისმე შეძლებს „როლან გაროსის" მოგებას?

— არ მოგბეზრდათ ასეთი კითხვებისს დასმა? მან უკვე მიაღწია იმას, რაც თითქმის არავის გაუკეთებია ისტორიაში. მარტო ის რად ღირს, რომ შარშან 18 თუ 19 ტურნირში ითამაშა და აქედან ერთის გარდა ყველგან ფინალში გავიდა. სამი წელია, ნომერ პირველი ჩოგანია. ამას წინათ შემთხვევით ვნახე, რომ სამპრასს, როცა რეიტინგის სათავეში იყო, 5000-მდე ქულა ჰქონდა. როჯერმა კი გასული წელი 8 000-ით დაამთავრა. და საერთოდ, რას მალაპარაკებთ ამდენს, ის ხომ ფედერერია — მას ყველაფერი შეუძლია.

— წინ უიმბლდონია. შარშანდელივით ფინალში გასვლას გეგმავთ?

— სიმართლე გითხრათ, არაფერსაც არ ვგეგმავ. რაიმე კონკრეტულზე არ ვფიქრობ. ვიცი მხოლოდ, რომ უიმბლდონზე ვითამაშებ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ რაც შეიძლება, შორს წავიდე. ვნახოთ, თავიდან როგორ წავა საქმეები და კონკრეტულზე მხოლოდ მერე ვიოცნებებ. ორიოდ დღეში ლონდონში მივდივარ, სადაც ქუინსის ტურნირზე ვითამაშებ. იქ კორტებთან ახლოს ვიქირავე სახლი, რაც საშუალებას მომცემს, მეტი ვივარჯიშო და ბალახს შევეჩვიო. ასე რომ, მომზადებას სერიოზულად ვაპირებ.

— ნახევარი სეზონი მიილია და რეიტინგში ფედერერს თანდათან ეწევით, თან მალე ჰარდის დრო მოვა...

— კი, ციფრები ამაზე მიუთითებენ. ზუსტად არ მახსოვს, რამდენია სხვაობა, დაახლოებით 700 ქულა, არა? ესეც ბევრია. თუმც ციფრებს ნუ ენდობით, შეიძლება ვეწევი კიდეც, მაგრამ დამდეგი ჰარდის სეზონის მთავარი ფავორიტი მაინც როჯერი იქნება.



ეროვნული

# მსოფლიო რაგბს შავები განაგებენ

**მსოფლიო** რაგბის გამგებელმა, რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა ერთი ადგილით წინ წაიწია.

IRB-ის ახალ რეიტინგში ჩვენ „ლელოებს" მე-16 ადგილი უკავიათ. აქვე ვთქვათ, რომ მე-16 ადგილი ჩვენებს 2002-03 წლებშიც ეკავათ, როდესაც ევროპის ერთა თასი მოიგეს და მსოფლიოს თასზეც გავიდნენ. მას აქეთ, საქართველოს დიდი-დიდი ორი ადგილით ჩამოქვეითებულიყო, მე-16 საფეხური კი საუკეთესო შედეგად რჩება.




ნამიბიის დამარცხებამ ქართველები რეიტინგში დააწინაურა

AFP

განახლებულ რეიტინგში ჩვენებმა ადგილი იაპონიას გაუცვალეს. სამისო ქულები კი რუმინეთში მიმდინარე IRB-ის ერთა თასზე ნამიბიის მოგებით მოიპოვეს. შეგახსენებთ, წლევანდელი მსოფლიოს თასზე ნამიბია ჩვენების მთავარი მეტოქეა — მათი დამარცხება „ლელოების" მინიმუმიცაა და მაქსიმუმიც.

მსოფლიოს თასზე „ლელოების" სხვა მეტოქეები საფრანგეთი, ირლანდია და არგენტინა მყარად სხედან საუკეთესო ექვსეულში, ამქარს კი ცხადია, ყოვლისშემძლე ახალი ზელანდია ლიდერობს. ძნელად, „შავებმა" უსტაბაშობა მსოფლიოს თასამდე დათმონ, ან საერთოდ დათმობენ კი?

ევროპის საერთათასო მეტოქეებიდან ქართველებს ერთი ადგილით და უმნიშვნელო მეასედი ქულებით მხოლოდ რუმინეთი უსწრებს. დანარჩენები — რუსეთი, პორტუგალია და ესპანეთი კი კუდში მისდევენ.

**ბაჩო სვანიძე**

## IRB-ის რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1 (1) | ახ. ზელანდია | 94,59 |
| 2 (2) | საფრანგეთი | 85,66 |
| 3 (3) | ავსტრალია | 85,55 |
| 4 (4) | ს. აფრიკა | 85,13 |
| 5 (5) | ირლანდია | 82,52 |
| 6 (6) | არგენტინა | 82,43 |
| 7 (7) | ინგლისი | 78,93 |
| 8 (8) | უელსი | 76,26 |
| 9 (9) | იტალია | 75,53 |
| 10 (10) | სამოა | 74,49 |
| 11 (11) | შოტლანდია | 73,94 |
| 12 (12) | ფიჯი | 72,52 |
| 13 (13) | კანადა | 70,06 |
| 14 (14) | აშშ | 67,20 |
| 15 (15) | რუმინეთი | 66,79 |
| 16 (17) | **საქართველო** | 66,38 |
| 17 (16) | იაპონია | 66,34 |
| 18 (18) | ტონგა | 65,52 |
| 19 (19) | რუსეთი | 64,37 |
| 20 (20) | ურუგვაი | 63,29 |
| 21 (21) | პორტუგალია | 62,03 |
| 22 (22) | ესპანეთი | 59,49 |
| 24 (23) | ნამიბია | 58,96 |

ფრჩხილებში მითითებულია ადგილი წინა რეიტინგში



# დედალი ავაზა ფერს არ კარგავს

**ჩანს**, პლანეტის უსწრაფესმა ჰუმანოიდმა ასაფა პაუელმა ბოლომდე მოიშუშა მარტში მიღებული ტრავმა და სრულადაც ჩაერთო ახლად გახურებულ სამძლეოსნო რია-რიაში. იამაიკელი სპრინტერი ყველგან ასწრებს ჩასვლასირბილს, თუმც ბოლოს სადაც იყო, ყველას ვერ გაასწრო.

ასაფას წარუმატებლობა, მართალი ვთქვათ და, დიდად არავის გაჰკვირვებია, რაკილა ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინში გამართულ ტურნირზე, „პრეფონტეინ კლასიკზე" მსოფლიოს 100 მეტრის მეფემ 200 მეტრზე სირბილი ინება. მიუხედავად იმისა, რომ იუჯინში გვარიანად ციოდა და პირქარიც ქროდა (ამის შესახებ ყველაზე ხმამაღლა სწორედ პაუელმა დაიჩივლა), რბოლა მაინც დაძაბული გამოვიდა. შემადგენლობაც, შეიძლება ითქვას, უძლიერესი შეკრებილიყო. ასაფამ ყოჩაღად დაიწყო და თავშიც მოექცა, მაგრამ ის ხომ 200 მეტრის სპეციალისტი არ გახლავთ, ამდენად მალევე დაიღალა და დისტანციის ნახევრის გარბენის შემდეგ წინ ორი კაცი გაუშვა. პირველობისთვის უდაძაბულესი რბენა გამართეს ქსავიე კარტერმა და ვოლეს სპირმონმა. საბოლოოდ 20,24-წამიანი შედეგით იმარჯვა კარტერმა, ვინც ფინიში სპირმონზე 0,01 წამით ადრე გადაკვეთა. 200 მეტრის ოლიმპიურ ჩემპიონ შონ კროუფორდს მხოლოდ მეოთხე ადგილი შეხვდა. მეშვიდე იყო ბოლო წლებში 400 მეტრის ყველგან მომგები ჯერემი უორინერი.

ნასირბილევს კარტერი და პაუელი დიდად ანგლობდნენ და ერთხმატკბილობდნენ. ოღონდ მერე ამერიკელმა მაინც გაჰკრა კბილი იამაიკელს — აქაოდა, მაგას ეგონა, რომ 100 მეტრს გარბოდა და საწვავი მხოლოდ ნახევარ გზაზე ეყოო.

პაუელმა კი შეაქო კარტერი — 200 მეტრზე ბევრი კარგი ბიჭი დარბის, მაგრამ ქსავიე ყველაზე მაგარია, რაც მისმა შარშანდელმა 19,63-წამიანმა შედეგმაც დაადასტურა და დღევანდელმა გამარჯვებამაცო. თავად ასაფამ კი ორშაბათს იუჯინში გამოსვლის შემდეგ მალევე ჩაალაგა ჩემოდანი — 15 000 კილომეტრის გაფრენის შემდეგ ის ამ დღეებში დედამიწის მეორე მხარეს, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში უნდა იყოს, სადაც პარასკევს ოქროს ლიგის სადებიუტო ტურნირში „კუთვნილი" 100 მეტრის კიდევ ერთხელ დაპყრობას ეცდება.

იუჯინში კიდევ მრავალი სახელიანი მძლეოსანი მონაწილეობდა და ყურადღებამისაქცევი შედეგებიც აღინიშნა. 1500-მეტრიანი დისციპლინის ამერიკულ სახესხვაობაში, 1 მილზე ანუ 1600 მეტრზე სირბილში სეზონის საუკეთესო შედეგით იმარჯვა 22 წლის კენიელმა დანიელ კიპჩირჩირ კომენმა, რომელიც ძალიან ხშირად ეშლებათ მის თანამემამულე დანიელ კომენში. ის 3 კილომეტრზე მსოფლიოს რეკორდის მფლობელი და 5 კილომეტრზე რეკორდის ყოფილი მფლობელია. კიპჩირჩის კომენმა 1,6 კილომეტრი 3 წუთსა და 48,28 წამში დაფარა და 13 ათას ორეგონელს ტაშიც მოსწყვიტა, რაკი ეს შედეგი სეზონის რეკორდთან ერთად, ამ მრავალი დიადის მნახველი სტადიონის ყველა დროის საუკეთესო შედეგიცაა. მანამდე იქ უსწრაფესად ურბენია აწ პენსიაზე გასულ მაროკოელ ლეგენდას ჰიშამ ელ გურუჯს.

იუჯინში ელოდნენ თანამედროვეობის უძლიერეს სტაიერს, ეთიოპიელ კენენისა ბეკელეს, მაგრამ ის რატომღაც არ ჩავიდა ამერიკაში და მის არყოფნაში 2 მილზე, ანუ 3200 მეტრზე ავსტრალიელმა კრეიგ მოტრამმა (8:03,52) იმარჯვა.

ყველა ამ ყოჩაღ მორბენალს ტაში არ დაამადლა მძლეოსნობის დიდად მოყვარულმა ადგილობრივმა პუბლიკამ, მაგრამ არავის აღუფრთოვანებია ხალხი იმდენად, რამდენადაც „დედალ ავაზად" სახელდებულმა მარია მუტოლამ მოახერხა. მოზამბიკელი კი გახლავთ, მაგრამ მუტოლა ლამის ბავშვობიდან იუჯინში ცხოვრობდა, სწავლობდა და ვარჯიშობდა. ეს ტურნირი არასდროს გაუცდენია. ახლა მან თავისი საფირმო 800 მეტრი სეზონის რეკორდით, 1:58,33 შედეგით მოიგო და ამ ბილიკებზე ზედიზედ 5 წელი დაუმარცხებლად რჩება.




მარია მუტოლა იუჯინში ისევ პირველი იყო

200 მეტრზე მორბენალი ზემოხსენებული დარჩეული ბიჭებისთვის ხელის შემშლელმა პირქარმა თარჯმორბენალ გოგო-ბიჭებსაც შეუშალა ხელი. კაცებში 110 მეტრი მაინც მსოფლიო რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლიუ სიანმა მოიგო, თუმცა 13,23 წამი საამაყო შედეგად არ გამოდგება. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინელმა და მისმა მუდმივმა მდევარმა დომინიკ არნოლდმა მესამე-მეოთხე ბილიკზე ერთმანეთს დიდი „მიდი-მოვდივარ" გაუმართეს. არნოლდს ისევ არ გაუმართლა — ამერიკელი მეექვსე თარჯს გამოედო და წონასწორობადაკარგულმა ლამის ლიუ სიანიც წააფორხილა. ჩინელს მაინც საკმარისი წინააღმდეგობა შეხვდა სხვა ამერიკელებისგან, მას მხოლოდ 0,01 წამით ჩამორჩა ენვარ მური.

ქალთა შორის 100 მეტრი თარჯრბენი კი 12,51 შედეგით ამერიკელმა მსოფლიო ჩემპიონმა ელის პერიმ მოიგო. სეზონის დებიუტი ჰქონდა ქალთა შორის 2006 წლის მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანს, ამერიკელ 400 მეტრზე მორბენალ სანია რიჩარდს, რომელმაც მოიგო კიდეც 50,74 წამში.

კაცთა შორის ბირთვის კვრაში ორმა მოახერხა 21-მეტრიანი ნიშნულის გადალახვა — კრისტიან კანტველმა ბირთვი 21,89 მეტრზე ჰკრა, რიის ჰოფამ კი — 21,65-ზე

8,49 მეტრზე ისკუპა პანამელმა სიგრძეზე მხტომელმა ირვინგ სალადინომ, რომელიც აშკარად ვერ იყო ფორმაში. ერთია, რომ მან ხუთიდან ოთხი ცდა გააცუდა და ლამის საერთოდ უშედეგოდ დარჩა; მეორეც, მას კვლავ აჯობა ახალგამომცხვარმა ბერძენმა მხტომელმა ლუის ცატუმასმა. ოღონდ ბერძენი ამერიკაში არ გახლდათ, ის მშობლიურ საბერძნეთში, ჩანიაში ხტოდა და კვლავ გასცდა 8,5 მეტრს — 8,53-ზე ისკუპა. გავიხსენოთ, რომ ამ ცატუმასმა რამდენიმე დღის წინ 8,66-მეტრიანი ნახტომი შეასრულა და სეზონის რეკორდიც ხელთ მგდო.

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge